

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

როგორ დავაკვირდეთ არჩევნებს?

დამხმარე სახელმძღვანელო
პარტიებისათვის

როგორ დავაკვირდეთ არჩევნებს?

*დამხმარე სახელმძღვანელო
პარტიებისათვის*

ბროშურა გამოცა პროექტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესის კონტროლის ეფექტურობისათვის ფარგლებში, ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს ფინანსური დახმარებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დიად, სამართლიანად და თავისუფლად ჩატარების ხელშეწყობის მიზნით სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა განახორციელა პროექტი *ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესის კონგროლის ეფექტურობისათვის*. პროექტი დააფინანსა ფონდმა დია სამოგადოება – საქართველო.

პროექტი ითვალისწინებდა პოლიტიკურ პარტიებში სადამკვირვებლო საქმიანობის ორგანიზება-გაძლიერებისათვის ხელშეწყობას. ამ მიზნით სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთათვის ჩატარდა ტრენინგ-სემინარების ციკლი – **საარჩევნო პროცესის ეფექტური პარტიული მონიტორინგის ორგანიზაცია**. ამავე პროექტის ფარგლებში გახდა შესაძლებელი წინამდებარე ბროშურის **როგორ დაეაკვირდეთ არჩევნებს?** (*დამხმარე სახელმძღვანელო პარტიებისათვის*) გამოცემა. ბროშურა განკუთვნილია, როგორც პარტიული დაკვირვების ორგანიზაციებისა და პარტიათა მეთვალყურეებისათვის, ისე არჩევნების მონიტორინგის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

ბროშურაში ადგილები საარჩევნო კანონმდებლობიდან მოხმობილია საცნობარო მიზნით.

ბროშურა მოამზადეს:

კონსტანტინე კანდელაკმა

ლელა ხომერიკმა

პაატა გურგენიძემ

დავით ლოსაბერიძემ

დავით ყიფიანმა

კონსულტანტი: ლალო სანიკიძე (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)

მადლობას ვუხდით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს მოწოდებული მასალებისათვის.

© სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 1998

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

თბილისი, ბაქოს ქ. 20ა

ტელ: 95-38-73. -mail: ICCG_Georgia@yahoo.com

პარტიული ღაკვირვების მიხენი

არჩენების სამართლიანად წარმართვისა და ამომრჩევის ნების თავისუფალი გამოხატვის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია, საარჩევნო პროცესის ეფექტური კონტროლის სისტემის არსებობა. კარგად ორგანიზებული პარტიული ღაკვირვება ამ სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

პარტიულ ღამკვირვებელთა საქმიანობა, პირველ რიგში, საკუთარი პარტიის ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად. უფრო ფართო გაგებით, არჩევნების პარტიული მონიტორინგის მიზანია არჩევნების სამართლიანად ჩატარების ხელშეწყობა.

პარტიული ღამკვირვებლის უშუალო მოვალეობაა ღარღვევების ღაფიქსირება და საჭიროების შემთხვევაში მოწმის როლში გამოსვლა. ღარღვევების ღაფიქსირების ღროს იგი არ უნდა ფიქრობღეს თუ ვის წინააღმღეგა მიმართული ღარღვევა, რადგანაც მხოლოდ საკუთარი პარტიის წინააღმღეგ მიმართული ღარღვევების ღაფიქსირება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, პრაქტიკულად შეუძლებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საკუთარი პარტიის ინტერესების დაცვა არ გადაიზარღოს მიკერძობებაში, რადგან პარტიების (განსაკუთრებით პაგარა პარტიების) უმრავლესობისათვის საბოლოოდ ობიექტურობის დაცვა უფრო სასარგებლოა, ვიდრე პარტიებს შორის გარიგებებზე წასვლა და თავისი პარტიისათვის სასარგებლო ღარღვევების ჩაღენა. არჩევნების ფალსიფიცირების პოლიტიკა არღ დიდი პარტიებისათვის არის სასარგებლო, რადგან დიდი (ღა თუნღაც მმართველი) პარტიის ბელი ხომ ბევრადღა ღამოკიდებული არჩევნების სამართლიანობის იმიღზე.

თუკი პარტიის ბუნებრივი ინტერესია, არჩევნებში გამარჯვების შეღეგად გავლენა მოახღნოს თავის მომხრეთა საჯარო სამსახურში ღასაქმებღაღე, მის ინტერესში სულაც არ შეღის საპირისპირო პროცესი, ანუ თანამღებობის პირების მხრიღან არჩევნების შეღეგებღე „გაღენის“ მოხღენა. ასეთ შემთხვევაში პარტიაში იწყება თანამღებობის პირთა მიერ პარტიული არისტოკრატის შექმნა, რომელიც თავისი კერძო ინტერესებით მოქმეღებს. შეღეგად, ხღება მმართველი პარტიის გაღაქცევა ხელისუფლების პარტიაღ, ანუ პარტიის ხელისუფლების ინვერსია ხელისუფლების პარტიაღ. რა თქმღ უნღა, ასეთღა პერსპექტივამ „მღიერი“ (კარგად ორგანიზებული) პარტია არ უნღა მოხიბღოს, თუკი იგი ღემოკრატული პრინციპებითღა ორგანიზებული.

პოლიტიკური პარტიის სადამკვირვებლო სამსახურის ორგანიზაცია, სტრუქტურა და ფუნქციები

ეფექტური პარტიული მონიტორინგის ჩატარებისათვის აუცილებელია პარტიამ სადამკვირვებლო პროგრამა არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე შეიმუშავოს. დაკვირვების პროგრამა უნდა იძლეოდეს პარტიისა და მისი კანდიდატების ინტერესების კვალიფიციურად დაცვის გარანტიას.

რაც უფრო ორგანიზებულად შეხვდება პარტია არჩევნების დღეს, მით უფრო უკეთ შესძლებს თავიდან აიცილოს როგორც წინასწარგანზრახული, ასევე შემთხვევითი დარღვევები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ არჩევნების საბოლოო შედეგზე.

პარტიული სადამკვირვებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ეფექტური საორგანიზაციო სტრუქტურა, საარჩევნო კანონმდებლობისა და არჩევნების პროცედურის ნიუანსებში კარგად გარკვეული, კვალიფიციური პერსონალი და დასახული მიზნის შესასრულებლად საჭირო რესურსები.

პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს პარტიის ცენტრალური სადამკვირვებლო სამსახური, რომლის ფუნქციაც იქნება არჩევნებზე დაკვირვების გეგმის შემუშავება, ამ გეგმის გადახედვა და შეცვლა საჭიროების შემთხვევაში, მისი შესრულების ხელმძღვანელობა.

ცენტრალური სადამკვირვებლო სამსახური ქმნის რეგიონალურ და საოლქო სადამკვირვებლო ცენტრებს, ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას უწევს მათ, ამზადებს დაკვირვებაში მონაწილე პერსონალს, ამზადებს სამუშაო მასალებს (საარჩევნო კანონმდებლობის განმარტებები, დამკვირვებლის ინსტრუქციები, დაკვირვების ოქმი და სხვა), ამყარებს ურთიერთობას ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, ქმნის რეგიონალური და საოლქო ცენტრებიდან ინფორმაციის მიღების მობილურ სისტემას, იმუშავებს ინფორმაციის სწრაფი დამუშავების მეთოდს, უზრუნველყოფს დაფიქსირებულ დარღვევებზე სწრაფ რეაგირებას და მათ კვალიფიციურ გასაჩივრებას.

პარტიის **რეგიონალური სადამკვირვებლო ცენტრის** ფუნქციაა რეგიონის მასშტაბით კოორდინაცია გაუწიოს საოლქო სადამკვირვებლო ცენტრების საქმიანობას, მიაწოდოს მათ ცენტრალური სადამკვირვებლო სამსახურიდან მიღებული ინფორმაცია, ლიტერატურა, მასალები, მოამზადოს საოლქო სამსახურების კოორდინატორები, დაეხმაროს საოლქო ცენტრებს დამკვირვებლების მომზადებაში, გააცნოს მათ პარტიის არჩევნებზე დაკვირვების გეგმა, არჩევნების დღეს დაეხმაროს საოლქო ცენტრებს რთული პრობლემების გადაჭრაში, ოპერატიულად გადასცეს ოლქებიდან მიღებული ინფორმაცია ცენტრალურ სადამკვირვებლო სამსახურს, რეგიონის მასშტაბით შექმნას ინფორმაციის მიღება-დამუშავების მობილური სისტემა, შედეგების შეჯამების შემდეგ საოლქო ცენტრიდან დაკვირვების შედეგად მოპოვებული მასალები ოპერატიულად მიაწოდოს ცენტრალურ სადამკვირვებლო სამსახურს.

პარტიის **საოლქო სადამკვირვებლო ცენტრის** ფუნქციაა ოლქის მასშტაბით დამკვირვებლების მოზიდვა, მათი მომზადება, დაკვირვების მასალებით

უმრუნველყოფა და უზნებში განაწილება, დაკვირვების ოქმების სწრაფი შეგროვება და გაანალიზება, დაკვირვების შედეგად მოპოვებული მასალების ოპერატიული მიწოდება პარტიის რეგიონალური ან ცენტრალური სადამკვირვებლო სამსახურისათვის, დაფიქსირებულ დარღვევებზე რეაგირება და მათი გასაჩივრება.

პარტიის სადამკვირვებლო სამსახურის სხვადასხვა რგოლის ხელმძღვანელთა უზნებები

პარტიის ცენტრალური სადამკვირვებლო სამსახურის ხელმძღვანელის (მენეჯერის) საქმიანობა

ცენტრალური სამსახურის მენეჯერმა უნდა:

1. დააკომპლექტოს სამსახურის აპარატი, განსაზღვროს რამდენი თანამშრომელი დასჭირდება, განაწილოს მათ შორის ფუნქციები. აპარატი აუცილებელია საარჩევნო კანონმდებლობაში კარგად გარკვეული იურისტების მოწვევა.
2. შეიმუშავოს არჩევნებზე დაკვირვების გეგმა.
3. შეიმუშავოს არჩევნებზე დაკვირვების ორგანიზაციული სტრუქტურა.
4. ჩამოაყალიბოს რეგიონალური და საოლქო სადამკვირვებლო ცენტრები, დანიშნოს მათი ხელმძღვანელები (კოორდინატორები).
5. რეგიონალური და საოლქო ცენტრების ხელმძღვანელებს (კოორდინატორებს) ჩაუტაროს თრეინინგები. გააცნოს მათ დაკვირვების გეგმა, დაკვირვების ორგანიზაციული მხარე, შეასწავლოს დამკვირვებლების მომზადება, მისცეს კონკრეტული დავალებები.
6. დაამუშავოს საარჩევნო კანონმდებლობა და მოამზადოს სპეციალური საინფორმაციო მასალები.
7. მოამზადოს დაკვირვებისათვის აუცილებელი მასალები (დაკვირვების ოქმები, საცნობარო ლიგურაგურა, დამკვირვებლების რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია).
8. განალიზოს წინა არჩევნების სტატისტიკური მონაცემები, გამოყოს ისეთი ოლქები და უზნები, რომლებიც მისი აზრით უფრო მეტ კონტროლს მოითხოვენ.
9. დანიშნოს ცენტრალურ და საოლქო კომისიაში რწმუნებულები.
10. დაამყაროს კონტაქტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან.
11. შეიმუშავოს ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მექანიზმი.
12. წინასწარ მოამზადოს აქტების და საჩივრების გრაფარეტული ფორმები, რათა დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დამკვირვებლებს არ გაუჭირდეთ აქტისა თუ საჩივრის სწრაფი შედგენა.
13. შექმნას კომუნიკაციის მობილური სისტემა, რათა რეგიონალური და საოლქო ცენტრებიდან დროულად მიიღოს ინფორმაცია.
14. არჩევნების დღეს იქონიოს კავშირი ყველა რეგიონთან და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული დახმარება აღმოუჩინოს მათ.

15. დაფიქსირებული დარღვევების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (შემდგომში ცსკ).
16. დაამუშაოს რეგიონებიდან (ოლქებიდან) მიღებული მონაცემები და შეუდაროს ცსკ-ს მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ მონაცემებს. შეადგინოს **დაკვირვების ანგარიში**.
17. საჭიროების შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთები, გაასაჩივროს შესაბამის ორგანოებში.

პარტიის რეგიონალური სადამკვირვებლო ცენტრის ხელმძღვანელის საქმიანობა

რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელმა უნდა:

1. დააკომპლექტოს ცენტრის აპარატი, განსაზღვროს რამდენი თანამშრომელი დასჭირდება; გაანაწილოს მათ შორის ფუნქციები;
2. ჩამოაყალიბოს რეგიონში შემავალი საარჩევნო ოლქების, პარტიის საოლქო-სადამკვირვებლო ცენტრები, დანიშნოს საოლქო-სადამკვირვებლო ცენტრების კოორდინატორები;
3. ჩაუტაროს კოორდინატორებს საწვრთნელი შეხვედრა, გააცნოს მათ პარტიის სადამკვირვებლო სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა, დაკვირვების გეგმა, შესწავლის დამკვირვებლების მომზადება, მისცეს კონკრეტული დავალებები;
4. დაეხმაროს კოორდინატორებს დამკვირვებლების მომიდვაში და სწავლებაში;
5. გააანალიზოს რეგიონის მასშტაბით წინა არჩევნების სტატისტიკური მონაცემები, გამოყოს ისეთი ოლქები, რომლებიც, მისი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ;
6. დაამყაროს კავშირი რეგიონში შემავალ საოლქო-საარჩევნო კომისიებთან, ჩაიწეროს მათი მისამართები, კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა;
7. შეიმუშაოს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის მობილური სისტემები;
8. გადასცეს კოორდინატორებს დაკვირვებისათვის აუცილებელი მასალები;
9. არჩევნების დღეს საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული დახმარება აღმოუჩინოს კოორდინატორებს;
10. არჩევნების დამთავრების შემდეგ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით შეაგროვოს დაკვირვების მასალები და მიაწოდოს პარტიის ცენტრალურ სამსახურს.

საოლქო კოორდინატორის საქმიანობა

I. ხმის მიცემის დღემდე

პარტიის საოლქო-სადამკვირვებლო ცენტრის კოორდინატორმა უნდა:

1. დააკომპლექტოს ცენტრის აპარატი, განსაზღვროს რამდენი თანამშრომელი დასჭირდება, გაანაწილოს მათ შორის ფუნქციები;
2. შეაგროვოს ოლქის ყველა საუბნო-საარჩევნო კომისიის შესახებ ინფორმაცია (მისამართი, გელეფონი, ადგილმდებარეობა, თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა);
3. მოიპოვოს ოლქის რუქა, აღნიშნოს მასზე ყველა საარჩევნო უბანი, ამომრჩეველთა რაოდენობა თითოეულ უბანზე;
4. დაამყაროს კონტაქტი საოლქო და საუბნო კომისიებთან;
5. მოიმიღოს და შეარჩიოს დამკვირვებლები (სასურველია თითოეული უბნისათვის ორი დამკვირვებლის მოზიდვა და მომზადება), დამკვირვებლები შეიძლება იყვნენ როგორც პარტიის აქტიური წევრები, ასევე მათი ოჯახის წევრები, მოხალისეები;
6. დაყოს დამკვირვებლები ორ ნაწილად: ა) დამკვირვებლები, რომლებიც მთელი დღის მანძილზე კონკრეტულ საარჩევნო უბნებზე იქნებიან მიმაგრებული და ბ) მოძრავი დამკვირვებლები (მობილური ჯგუფები), რომლებიც დღის განმავლობაში ყველა საარჩევნო უბანს მოივილიან;
7. ჩაუტაროს დამკვირვებლებს საწვრთნელი შეხვედრები;
8. ახსოვდეს, რომ საარჩევნო პროცესის კონტროლის პროგრამის ეფექტურად განხორციელება საჭიროებს კარგად მომზადებულ დამკვირვებლების ყოლას. დამკვირვებლებს კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული, ერთი მხრივ, ხმის მიცემისა და შედეგების შეჯამების პროცედურა და, მეორე მხრივ, საკუთარი უფლებები და მორალური პასუხისმგებლობა;
9. დამკვირვებლებს გააცნოს შესაძლო დარღვევები, ასწავლოს დარღვევების კვალიფიცირებული დაფიქსირება, აქტის შედგენა და გასაჩივრება;
10. გააცნოს დამკვირვებლის პროგრამის ორგანიზაციული მხარე;
11. წინასწარ შეიმუშაოს მიღებული ინფორმაციის დამუშავების სისტემა.
12. შექმნას კომუნიკაციის მობილური სისტემა, რათა დამკვირვებლებისაგან ღროულად მიიღოს ინფორმაცია. არსებობს ინფორმაციის გადაცემის ორი ფორმა: ინციდენტის შესახებ შეტყობინება და დამკვირვებლის ანგარიში.
 - ა) ინციდენტის შესახებ შეტყობინება საჭიროებს სასწრაფო რეაგირებასა და შესაბამის ადგილზე დამხმარე ჯგუფის გაგზავნას.
 - ბ) დამკვირვებლის ანგარიში წარმოადგენს ოქმის გიპის დოკუმენტს, რომლის ფორმაც წინასწარ უნდა იყოს შემუშავებული და დაურიღდეს ყველა დამკვირვებელს. ამ ოქმში აღწერილი უნდა იყოს თუ რა ხდებოდა კონკრეტულ უბანზე, ჰქონდა თუ არა ადგილი კონკრეტულ დარღვევებს და სხვა. ეს ოქმები არჩევნების დამთავრებისთანავე უნდა ჩაბარდეს საოლქო სადამკვირვებლო სამსახურის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ ამ ოქმს პარტიის ცენტრალურ სადამკვირვებლო სამსახურში მიიტანს.
13. მოამზადოს თითოეული დამკვირვებლის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია.
14. გაანაწილოს დამკვირვებლები უბნებში (სასურველია დამკვირვებელი საარჩევნო უბანთან ახლოს ცხოვრობდეს). საჭიროა დამკვირვებლის სურვილის გათვალისწინებაც. სასურველია არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე თითოეულმა დამკვირვებელმა რეგისტრაცია გაიაროს შესაბამის კომისიაში.

15. შეამოწმოს გაიარა თუ არა რეგისტრაცია ყველა დამკვირვებელმა.
16. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, დამკვირვებლებს გადასცეს საჭირო მასალები (დამკვირვებლის ინსტრუქციები, ანკეტი, ოქმები და სხვა).
17. დამკვირვებლებთან შეათანხმოს ურთიერთკავშირის ყველა დეტალი, ჩააწერინოს საოლქო კომისიის გელეფონის ნომრები.
18. უზრუნველყოს მოძრავი ჯგუფები გრანსპორტით. სასურველია, თუ მოხერხდება რამოდენიმე მობილური ჯგუფის დაკომპლექტება.

II. არჩევნების დღე

1. არჩევნების დღეს საოლქო კოორდინატორის სამუშაო დღე უნდა დაიწყოს არჩევნების დაწყებამდე ერთი საათით ადრე. დამკვირვებლები, რომლებსაც გაუჭირდებათ უბანში მისვლა, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ გრანსპორტით.
2. სასურველია, მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდეს პარტიის სადამკვირვებლო სამსახურის საოლქო შტაბში. თუ გასვლა მოუწევს, აუცილებლად უნდა დაგოვოს შემცვლელი.
3. რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში დაუკავშირდეს თავისი პარტიის ცენტრალურ ან რეგიონალურ სადამკვირვებლო ცენტრებს.
4. ფექტური დაკვირვების განსახორციელებლად სასურველია, რომ დამკვირვებლებმა არც ერთი წუთით არ დაგოვონ საარჩევნო უბანი, რისთვისაც დამკვირვებლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საკვებით.
5. მობილურმა ჯგუფებმა ორ-სამ საათში ერთხელ მაინც უნდა მოინახულონ თითოეული უბანი.

III. არჩევნების შემდეგ

1. უბანში შედეგების შეჯამების დამთავრებისთანავე დამკვირვებლებმა წინასწარ დათქმულ ადგილას უნდა მიიგანონ ოქმები.
2. საოლქო კოორდინატორი უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ მიღებას იმ უბნებიდან, რომლებიც სადამკვირვებლო ცენტრიდან მოშორებით მდებარეობენ.
3. შედეგების შეჯამების დამთავრებიდან ერთი საათის განმავლობაში ინფორმაცია ყველა უბნიდან უნდა იყოს მიღებული.
4. კოორდინატორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინციდენტების შესახებ ინფორმაციაზე შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს.
5. დამკვირვებლის მიერ დაფიქსირებული დარღვევების საფუძველზე შეიგანოს საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიაში.
6. შეეცადოს, რომ დარღვევების შესახებ ყველა განცხადება მიღებული და განხილული იქნას შესაბამის ორგანოებში.
7. წინასწარ მომზადებული გეგმის მიხედვით უნდა დაამუშავოს დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია, დათვალოს შედეგები და შეადაროს საოლქო კომისიის ოფიციალურად გამოცხადებულ შედეგებს.

8. დამუშავებული ინფორმაცია უნდა წაილოს პარტიის რეგიონალურ ან ცენტრალურ სადამკვირვებლო სამსახურში.

დანართი I

რწმუნებულებისა და მეთვალყურის (დამკვირვებლის) დანიშვნის წესი

რწმუნებულებისა და მეთვალყურის დანიშვნის წესი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონით შემდეგნაირად განისაზღვრება:

მუხლი 44. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებული, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი

1. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიასა და საარჩევნო ბლოკს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის შემდეგ შეუძლია პყავდეს თითო რწმუნებული ყოველ საარჩევნო ოლქში, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რწმუნებულთან ერთად წარმოადგენს პარტიას, საარჩევნო ბლოკს საარჩევნო კომისიებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან ურთიერთობისას. საოლქო საარჩევნო კომისიაში რწმუნებულს ნიშნავს პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 22. ცენტრალური საარჩევნო კომისია

7. რეგისტრაციაში აგარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და აძლევს მას სათანადო მოწმობას.

მუხლი 24. საოლქო საარჩევნო კომისია

7. რეგისტრაციაში აგარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს მოცემულ საარჩევნო ოლქში, აძლევს მას სათანადო მოწმობას;

მუხლი 31. საარჩევნო კომისიების მუშაობის საჯაროობა

2. პარტიის, საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენლის უფლება-მოსილება დადასტურებული უნდა იყოს ამ გაერთიანების ხელმძღვანელი პირის ხელმოწერილი წარდგინებით, ხოლო მეთვალყურისა – პარლამენტის წევრობის კანდიდატის, პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულის წარდგინებით. *წარდგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს სხლო-მამლე არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო უბანში არჩევნებზე დასასწრებად წარდგინება საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს ორი დღისა.* საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კო-

მისია იძლევა დასაბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება შემდგომ საარჩევნო კომისიაში.

პარტიული დამკვირვებლების მომზადება

საოლქო კოორდინატორმა დამკვირვებლების მომზადების მიზნით უნდა ჩააგაროს საწვრთნელი შეხვედრები. სასწავლო შეხვედრების ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულად გაი-აზრებს კოორდინატორი, როგორ წარმართოს დამკვირვებელთა სწავლების პროცესი. გთავაზობთ დამხმარე მასალას სწავლების უკეთ დაგეგმვისა და ორგანიზებისათვის:

სემინარების დაგეგმვა

სემინარის დაგეგმვისას აუცილებელია მკაფიო პასუხი გასცეთ შემდეგ 7 კითხვას:

ვინ? – ვინ მიიღებს მონაწილეობას სემინარში: ვინ გააკეთებს შეხვედრის ორგანიზებას, ვინ წარმართავს სწავლებას, ვინ იქნებიან მსმენელები.

რაგომ? – რაგომ უნდა ჩატარდეს სემინარი, ე.ი. კერძოდ რა გარემოებებმა გახალა საჭირო სემინარის ჩატარება. (მაგ. პოლიტიკური პარტიების მხრიდან თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოახლოებული არჩევნების გაკონკრეტების აუცილებლობა).

როდის? – გულისხმობს სემინარის ჩატარების დროისა და შეხვედრის ხანგრძლივობის ოპტიმალურ შერჩევას. გასათვალისწინებელია, მონაწილე-თათვის კვირის რომელი დღე და დღის რა მონაკვეთია ხელსაყრელი.

სად? – განსაზღვრავს სემინარის ჩატარების ადგილს.

რისთვის? – წარმოაჩენს სემინარის კონკრეტულ მიზნებს. (მაგ: მომზადე-ბულ დამკვირვებელთა მიერ საარჩევნო უბნებზე პარტიის ინტერესების კვალიფიციურად დაცვა).

რა? – გულისხმობს სემინარის შინაარსობრივ მხარეს და არის ის კონკ-რეტული ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც უნდა მიიღონ მსმენელებმა.

როგორ? – რა ფორმითა და ხერხებით ვალწვეთ საჭირო შედეგს, ანუ როგორ მიგვაქვს მსმენელებამდე გარკვეული ცოდნა.

დამკვირვებლების საწვრთნელი შეხვედრის მოკლე გეგმა

1. შესავალი. მიესალმეთ ჯგუფს. წარუდგინეთ თქვენი თავი. გააცანით საწვრთნელი შეხვედრის მიზანი და დღის წესრიგი. მიეცით თითოეულ მონა-წილეს საშუალება წარადგინოს საკუთარი თავი; შეხვედრის მონაწილეებს ძალიან მოკლედ გააცანით გამოცდილება აღნიშნულ საკითხში.

2. პარტიის სადამკვირვებლო პროგრამის მიზნები.

3. სადამკვირვებლო სამსახურის ორგანიზაცია და მისი საქმიანობის აღწერა.

4. დაკვირვების იურიდიული საფუძვლები: პარტიული დამკვირვებლების რეგისტრაციის წესი, განსაზღვრული საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების სპეციფიკა.

6. საარჩევნო პროცედურის ზოგადი მიმოხილვა.

ა. საარჩევნო უბანი და ხმის მიცემის პროცედურა

ბ. საარჩევნო ბიულეტენი და მისი შევსება.

გ. შედეგების შეჯამება

7. დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები.

8. დამკვირვებლის ურთიერთობა საარჩევნო კომისიასთან.

9. დამკვირვებლის საქმიანობის აღწერა:

ა. უბანში არჩევნების დაწყებამდე

ბ. კენჭისყრის დროს

გ. ხმების დათვლის პროცესში

10. დარღვევათა შესაძლო სახეების აღწერა. დარღვევებზე რეაგირება და მათი თავიდან აცილება.

11. დაკვირვების ოქმი და დამკვირვებლის ინსტრუქცია. დამკვირვებლის მიერ დაკვირვების ოქმის შევსების წესი.

12. როგორ უნდა დაფიქსირდეს დარღვევები. რა შემთხვევაში და როგორ უნდა შეადგინოს დამკვირვებელმა აქტი. საჩივრის დაწერა და გასაჩივრების წესი.

13. რთული სიტუაციების აღწერა, რომლებშიც შეიძლება დამკვირვებელს მოუხდეს მუშაობა.

დაკვირვების პროცედურის ყოველმხრივი მიმოხილვის შემდეგ დამკვირვებლებს ჩააწერინეთ თქვენი კოორდინატები და შეათანხმეთ ყველა დეტალი, თუ სად და როგორ დაგიკავშირდნენ არჩევნების დღის განმავლობაში, არჩევნების დასრულების შემდეგ სად მოიგანონ დაკვირვების ოქმი და დაკვირვების სხვა მასალები.

სემინარის ბოლოს შეაგროვეთ დამკვირვებლების მონაცემები, მათი სურვილის გათვალისწინებით თითოეული მათგანი მიამაგრეთ კონკრეტულ უბანს, გადაეცით რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია და სთხოვეთ მათ ორი დღის განმავლობაში გაიარონ რეგისტრაცია უბნებში.

დანიშნეთ შემდეგი შეხვედრა, რათა დარწმუნდეთ, რომ დამკვირვებლებმა გაიარეს რეგისტრაცია და დაურიგოთ დაკვირვებისათვის საჭირო მასალები (დაკვირვების ოქმი, დამკვირვებლის ინსტრუქცია). მეორე შეხვედრა გამოიყენეთ აგრეთვე დამკვირვებლებთან ურთიერთკავშირის სისტემის დასამუშავებლად.

დამკვირვებლის ინსტრუქცია

პარტიული დამკვირვებელი არის მოქალაქე, რომელიც საკუთარ დროს უთმობს პარტიას ან დამოუკიდებელ კანდიდატს და მისი სახელით მოქმედებს არჩევნების დღეს. დამკვირვებელი ერთ კონკრეტულ საარჩევნო უბანში იმყოფება მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში, არჩევნების დაწყებიდან საბოლოო შედეგების ოქმის გაფორმებამდე და თვალყურს ადევნებს, კანონის შესაბამისად სრულდება თუ არა ხმის მიცემისა და შედეგების შეჯამების პროცედურა, აუქსირებს და საჭიროების შემთხვევაში ასაჩივრებს ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცესში მომხდარ კანონის დარღვევებს.

პარტიის დამკვირვებლის მოვალეობები მისგან მოითხოვს ტაქტს, სიტუაციის საღ განსჯას, წინდახედულებას, კომპეტენტურობას. მხოლოდ ასეთი თვისებით აღჭურვილ პირებს შეუძლიათ თავიანთი მოვალეობების სრულფასოვანი შესრულება და საკუთარი პარტიის ინტერესების დაცვა.

დამკვირვებელი მოწმა იმ მოვლენებისა, რომელიც საარჩევნო უბანში ხდება დღის განმავლობაში. დამკვირვებლის ამოცანაა, რომ როგორც პოლიტიკურმა პარტიებმა ისე ამომრჩევლებმა, შეძლონ თავიანთი უფლებების სრული გამოყენება და ამასთან დაიცვან კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დამკვირვებლის მოვალეობები

- დამკვირვებელი საარჩევნო უბანში არჩევნების დაწყებამდე ერთი საათით ადრე უნდა მივიდეს და არ უნდა დაგოვოს უბანი შედეგების შეჯამების ოქმის მიღებამდე.
- კარგად უნდა იცოდეს საარჩევნო კანონმდებლობა.
- იყოს ობიექტური და თავისი პარტიის ინტერესების დაცვა არ გადაზარდოს მიკერძოებაში.
- ხმის მიცემის და შედეგების შეჯამების პროცესზე დაკვირვებისას უნდა იქცეოდეს როგორც პროფესიონალი, თავი უნდა შეიკავოს ყველანაირი ქმედებისაგან, რომელიც ხელს შეუშლის არჩევნების მსვლელობას.
- ფხიშლად უნდა ადევნოს თვალი საარჩევნო პროცესს და ოქმში აღნიშნოს ყველა ქმედება, რომელიც არ შეესაბამება საარჩევნო კანონმდებლობას. აღნიშნოს დარღვევების დრო და ადგილი, აგრეთვე მიუთითოს მოწმეები.

დამკვირვებლის უფლებები

თქვენი უფლება მონაწილეობა მიიღოთ საარჩევნო პროცედურაში, როგორც დამკვირვებელმა, გარანტირებულია საქართველოს კანონით საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ (მუხლი 31. საარჩევნო კომისიების მუშაობის საჯაროობა, პუნქტი 1.): **საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს შესაბამის საარჩევნო ოლქში, კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული იმ პარტიების თითო წარმომადგენელს, რომლებსაც შესაბამის კომისიაში არ დაუნიშნავეთ კომისიის წევრი, სამოგადოებრივი გაერთიანების თითო წარმომადგენელს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, მეთვალყურეებს სხვა სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობებში, საარჩევნო ყუთების დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე, – პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ დანიშნულ თითო მეთვალყურესაც.**

დამკვირვებელს უფლება აქვს

- ⇒ არჩევნების დღეს იმყოფებოდეს ხმის მიცემის შენობაში.
- ⇒ მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო ყუთების შემოწმებაში, მათ დალუქვამდე და გახსნის შემდეგ.
- ⇒ გაეცნოს ამომრჩეველთა სიებს.
- ⇒ მონაწილეობა მიიღოს მოძრავი ყუთით მოწყობილი კენჭისყრის დაკვირვებაში.
- ⇒ დაესწროს ხმების დათვლის და შედეგების შეჯამების პროცესს.
- ⇒ გაეცნოს შესაბამისი საარჩევნო კომისიის ხმების დათვლის შედეგების ოქმს და მიიღოს მისი ერთი ეგზემპლარი.
- ⇒ მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემის ორგანიზაციულ საკითხებზე წინადადებებითა და შენიშვნებით. აგრეთვე კონკრეტული ღარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში და მოითხოვოს რეაგირება.
- ⇒ მოითხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს ხელში რამდენი ბიულეტენი აქვს. ამომრჩეველი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.
- ⇒ გაასაჩივროს საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედება (უმოქმედობა) გემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში.
- ⇒ ჰქონდეს ადგილი საარჩევნო უბანში, რაც საშუალებას მისცემს მას დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, ამომრჩევლების რეგისტრაციას, ბიულეტენების გაცემას, ბიულეტენების ჩაშვებას ყუთში, ყუთების გახსნას, ბიულეტენების დათვლას, ოქმების შედგენას.
- ⇒ აღნუსხოს საკუთარი შეხედულებებისამებრ თავის ოქმში (ანგარიშში) ყველაფერი, რასაც იგი აკვირდება.
- ⇒ მიმართოს სხვა დამკვირვებლებს დახმარებისათვის.

არა აქვს უფლება

- ➔ ხელი მოაწეროს საკონგრულო ფურცელს.
- ➔ ამომრჩევლის მაგივრად ხელი მოაწეროს ამომრჩეველთა სიაში და მიიღოს ბიულეტენი.
- ➔ ამომრჩევლის თხოვნით შეავსოს ბიულეტენი ან შეყვეს ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში.
- ➔ ჩაიდინოს ისეთი ქმედებები, რომელიც ხელს შეუშლის კომისიას თავისი ფუნქციების შესრულებაში.
- ➔ წინააღმდეგობა გაუწიოს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებს.

დამკვირვებლის საქმიანობა არჩევნებამდე

- ◇ დაკვირვებით შეისწავლეთ საარჩევნო კანონმდებლობა, ცსკ-ს ინსტრუქციები, დროზე მიიღეთ საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციისათვის საჭირო საბუთები და გაიარეთ რეგისტრაცია.
- ◇ გაცნობით საარჩევნო კომისიას, ჩაიწერეთ კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მონაცემები, საუბნო საარჩევნო კომისიის ტელეფონი.
- ◇ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დაათვალიერეთ საარჩევნო უბანი. შეამოწმეთ შეესაბამება თუ არა უბნის მოწყობა საარჩევნო კანონის მოთხოვნებს. მაგ. გამოკრულია თუ არა ამომრჩეველთა სიები და სხვა.
- ◇ გაიგეთ ზემდგომი საარჩევნო კომისიის მისამართი და ტელეფონი, აგრეთვე საოლქო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა.

არჩევნების დღე

სადამკვირვებლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად თან უნდა გქონდეთ:

- დამკვირვებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი;
- პირადობის მოწმობა (პასპორტი);
- დამკვირვებლის ოქმი;
- საარჩევნო კანონი (ინსტრუქციები) და დამკვირვებლის სახელმძღვანელო;
- აუცილებელი საკონტაქტო ტელეფონების, მისამართების და გვარების სია;
- საკუთარი პარტიის ცენტრალური და საოლქო სადამკვირვებლო სამსახურების კოორდინატები.
- საწერი ქაღალდი (განცხადებებისა და საჩივრებისათვის), კალამი (ორი), საათი, ფოტოაპარატი (სასურველია), ფარანი, კალკულატორი, სანთელი და ასანთი, წამლები, საგზალი (გახსოვდეთ, რომ ეს დღე ძალიან გრძელი იქნება. თქვენ არც ერთი წუთით არ უნდა მიაგოვით უბანი).

დამკვირვებლის საქმიანობა კენჭისყრის დღეს

- საარჩევნო უბანში უნდა გამოცხადდეთ არჩევნების დაწყებამდე ერთი საათით ადრე მაინც, რათა დააკვირდეთ უბნის მომზადებას.

- წარუდგინეთ თქვენი თავი საუბნო საარჩევნო კომისიას. გაეცანით სხვა დამკვირვებლებს.
- ხმის მიცემის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ: კომისიის ყველა წევრი ადგილზეა, გამოკრულია ამომრჩეველთა სიები და ხმის მიცემის ინსტრუქციები და ა.შ. შესაბამისი აღნიშვნები შეიტანეთ დამკვირვებლის ოქმში.
- შეამოწმეთ ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სია და დარწმუნდით, რომ სიაში არ არის წინასწარ გაკეთებული ხელმოწერები.
- კომისიის წევრებთან ერთად შეამოწმეთ ყუთების სიცარიელე და დაეწარით ყუთების დალუქვას.
- თვალყური ადევნეთ თხოვეთ თუ არა ამომრჩეველებს პირადობის მოწმობებს, ხომ არ აძლევენ ბიულეტენებს პირადობის მოწმობის წარდგენის გარეშე, ხომ არ აძლევენ ერთ ამომრჩეველს რამდენიმე ბიულეტენს (მაგ. ოჯახის წევრების მავივრად), ხომ არა აქვს ადგილი საარჩევნო უბანში ავტიგაციას და სხვა.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხმის მისაცემად მოსულთა რაოდენობის აღრიცხვა გარკვეული დროითი ინტერვალების დაცვით. აღრიცხვა აწარმოეთ ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სიის მიხედვით. სასურველია, ხმის მისაცემად მოსულთა რაოდენობა ინდივიდუალურადაც დათვალოთ.
- ყველა დაფიქსირებული დარღვევა შეიტანეთ დაკვირვების ოქმში. დარღვევის გამოსასწორებლად მიმართეთ თავმჯდომარეს. შედეგი მიუთითეთ ოქმში. თუ თავმჯდომარემ შენიშვნა არ გაითვალისწინა და დარღვევა არ გამოსწორდა, შეადგინეთ აქტი.
- პირადობის მოწმობების გარეშე ან ზედმეტი ბიულეტენების გაცემის შემთხვევაში აღნიშნეთ რომელ სარეგისტრაციო მაგიდასთან მოხდა ასეთი ფაქტი ან ფაქტები. მიუთითეთ დრო და რეგისტრატორის გვარი.
- ხმების დათვლის პროცესში ყურადღება მიაქციეთ:
 - ა. ბიულეტენების გაბათილების მიზნით, ხომ არ ხდება ბიულეტენების გადაშლა, დახვევა, დაბინძურება და ა.შ.
 - ბ. წინასწარშევსებული ბიულეტენების შერევა ყუთიდან გადმოყრილ ბიულეტენებში.
 - გ. საარჩევნო ყუთების შეცვლა, მოპარვა ან განადგურება.
 - დ. ბიულეტენში გამოხატული სურვილის მიუხედავად ბიულეტენის მითვლა სხვა პარტიისა ან კანდიდატისათვის.
 - ე. შედეგების ოქმის არასწორი შევსება.
 - ვ. ხდება თუ არა ხმების დათვლა კანონით დადგენილი თანმიმდევრობის დაცვით.
 - ზ. კენჭისყრით წყდება თუ არა ბიულეტენის ნამდვილობის საკითხი.
 - თ. გამოაკრა თუ არა კომისიამ ხმების დათვლის შედეგების მონაცემები თვალსაჩინო ადგილზე.
 - ი. ხმების დათვლაში ხომ არ მონაწილეობენ პირები, რომლებიც კომისიის წევრები არ არიან.
- დღის განმავლობაში თუ რამე სერიოზული პრობლემა შეგექმნათ, დაუკავშირდით პარტიის საოლქო კოორდინატორს.

- ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ თქვენ მიერ შევსებული დაკვირვების ოქმი, არჩევნების შედეგების ოქმი, აქტები და საჩივრები გადაეცით თქვენი პარტიის საოლქო კოორდინატორს წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე ან მიიგანეთ პარტიის საოლქო სადამკვირვებლო ცენტრში.

შესაძლო დარღვევათა სახეები

ხმის მიცემის პროცესის მსვლელობისა და შედეგების შეჯამებისას შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის დარღვევები:

1. ამომრჩეველთა იძულება, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ. (ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, მაგერიალური დაინტერესება).
2. საარჩევნო უბნების გვიან გაღება, ადრე ან გვიან დახურვა.
3. საარჩევნო პროცედურის დადგენილი წესის შეცვლა კომისიის მიერ.
4. არჩევნების აღმინისტირებაში იმ პირების მონაწილეობა, რომელთაც ამის უფლება არ აქვთ.
5. კენჭისყრის ფარულობის დარღვევა.
6. უკანონო დახმარების აღმოჩენა – მაგალითად: თუ ოფიციალური პირი (საარჩევნო კომისიის წევრი, დამკვირვებელი და ა. შ.) ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შეჰყვება დახმარების აღმოჩენის საბაბით.
7. ავტომატური წარმოება ან საავტომატო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები და ა. შ.) არსებობა საარჩევნო უბანში.
8. დამკვირვებლებისათვის უბანში შეშვებამდე უარის თქმა, უბნიდან გაძევების მიზნით მათი ჩათრევა კამათში, ცრუ სატელეფონო მართვით მათი ყურადღების გადატანა და სხვ.
9. ბიულეტენის გაცემა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე.
10. ერთი ამომრჩევლისათვის ბიულეტენთა ერთ კომპლექტზე მეტის მიცემა.
11. სასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ დამატებითი (ზედმეტი) ბიულეტენების საარჩევნო ყუთში ჩაგდება.
12. ერთი და იმავე ამომრჩევლის მიერ (ერთ, ან სხვადასხვა უბანში) ხმის რამდენჯერმე მიცემა გარდაცვლილთა, ადგილნაცვალთა ან იმათი სახელით, ვინც არ მოვიდა საარჩევნო უბანში.
13. ხმების დათვლის პროცესის გაჭიანურება.
14. საარჩევნო ყუთების განადგურება, მოპარვა ან შეცვლა.
15. ხმების დათვლის პროცედურაში იმ პირების მონაწილეობა, რომლებიც კომისიის წევრები არ არიან.
16. არასასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების გაფუჭება.
17. შემთხვევით შერჩეული ბიულეტენების შეცვლა სასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენებით.
18. არასასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების შეცვლა სასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენებით.
19. დათვლის დროს ყუთიდან გადმოყრილ ბიულეტენებში სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების შერევა.

20. ხმის მიცემის შედეგების გადაადგილება, როდესაც პარტიის (კანდიდატის) მიერ მიღებული ხმები ოქმში შეაქვთ, როგორც პარტიის (კანდიდატის) მიერ მიღებული ხმები, ხოლო -ს მიერ მიღებულ ხმებს მიაწერენ -ს.
21. კომისიის წევრების (ან სხვების) მიერ ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სიაში ყალბი ხელმოწერების (საარჩევნო უბანში გამოუცხადებელ ამომრჩეველთა ნაცვლად) გაკეთება არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის გაზრდის მიზნით.

დანართი II

როგორ განსაზღვრავს საარჩევნო კანონმდებლობა საარჩევნო დღის პროცედურას

კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების არჩევნების შესახებ

კენჭისყრის წესი

მუხლი 27.

საკრებულოების არჩევნებისას კენჭისყრის დრო და ადგილი, კენჭისყრის მოწყობა განისაზღვრება ამ კანონისა და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

ხმის მიცემის დრო და ადგილი

მუხლი 49.

1. საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დროსა და ადგილს ამომრჩეველებს აცნობს არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა.

2. ხმის მიცემის დროს დაუშვებელია კენჭისყრის შენობის ჩაკეცვა და კენჭისყრის შეწყვეტა, გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეგანილმა ყველა ამომრჩეველმა.

კენჭისყრის მოწყობა

მუხლი 50.

1. კენჭისყრა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის მხოლოდ ერთი პარტიის, საარჩევნო ბლოკის სარგებლობაში. ამ შენობებში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ამომრჩეველი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდეს ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს. კენჭისყრის კაბინებში (ოთახებში) უნდა იყოს კალმისგრები. კენჭისყრის შენობებსა და ოთახებში გამოკრული უნდა იყოს პარტიული სიები და შესაბამის საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა სიები, აგრეთვე ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა შეივსოს საარჩევნო ბიულეტენი.

3. პასუხისმგებლობა კენჭისყრის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნების გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. წესრიგის დაცვის მიზნით მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება ყველასათვის სავალდებულოა. ხმის მისაცემ შენობაში დაუშვებელია შეიარაღებულ პირთა შესვლა. მილიციის თანამშრომელი, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს, კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის თანხმობით. ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ კენჭისყრისთვის აუცილებელი დროის განმავლობაში.

ხმის მისაცემ შენობაში დასწრების უფლების მქონე პირები

ხმის მისაცემ შენობაში ყუთის დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე დასწრების უფლება აქვთ:

1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, შესაბამისი საოლქო ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს;
2. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული პარტიების თითო წარმომადგენელს;
3. საზოგადოებრივი გაერთიანების თითო წარმომადგენელს;
4. პრესის, ტელევიზიის და რადიოს წარმომადგენელს;
5. მეთვალყურეებს სხვა სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

საარჩევნო უბნის გახსნის პროცედურა

მუხლი 50.

4. არჩევნების დღეს კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს მიღებული ბიულეტენების რაოდენობას, კომისიის წევრებისა და დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს საარჩევნო ყუთებს, რის შემდეგაც ყუთებში უშვებენ

საკონგრეოლო ფურცელს, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ კომისიის წევრები და ხმის მისაცემად მისული პირველი ამომრჩეველი; საკონგრეოლო ფურცელზე უნდა აღინიშნოს ყუთში მისი ჩაშვების დრო.

ხმის მიცემა

მუხლი 50.

5. თითოეული ამომრჩეველი ხმას პირადად აძლევს. სხვა პირთა ნაცვლად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს გასცემს საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენისას.

6. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა დამატებით სიას.

7. ამ უბანში მცხოვრები მოქალაქენი, რომლებიც შეცლომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

8. იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩეველებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლიათ კენჭისყრის შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით, რომელიც არჩევნების დღის 12 საათამდე უნდა ეცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიას და გაგარებული უნდა იყოს განცხადებების ჟურნალში, კომისიის წევრებს ავალებს კენჭისყრის მოწყობას ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში კენჭისყრის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი; მასში მონაწილეობის უფლება აქვთ საარჩევნო უბანში დასწრების უფლების მქონე პირებსაც. კენჭისყრის ამგვარად ჩასატარებლად გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი. ასეთივე წესით ეწყობა კენჭისყრა იმ შემთხვევაშიც, როცა ამომრჩეველი თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფება სასამართლოს განაჩენის გარეშე.

საარჩევნო ბიულეტენი

კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების არჩევნების შესახებ

მუხლი 25.

1. საკრებულოების არჩევნებისათვის მზადდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი.

2. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ პარტიის, საარჩევნო ბლოკის სახელწოდება (ბლოკის სახელწოდების შემდეგ მითითებული

უნდა იყოს მასში გავრთიანებულ პარტიათა სახელწოდებები) იმ თანამიმდევრობით, რომელიც წლისყრით განსაზღვრა შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ.

3. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ შესაბამის საკრებულოში ასარჩევად წარდგენილი ყველა კანდიდატის სახელი, მამის სახელი და გვარი იმ პარტიის, საარჩევნო ბლოკის სახელწოდების მითითებით, რომელმაც დაასახელა კანდიდატი. ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ დასახელებულ კანდიდატს მიეწერება – „დამოუკიდებელი კანდიდატი“. კანდიდატების თაობაზე მონაცემები საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამისი კანდიდატის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის თანამიმდევრობით.

4. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენების დამზადებას სახელმწიფო ენაზე.

5. საარჩევნო ბიულეტენები მუსგ აღრიცხვას ექვემდებარება. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს საუბნო საარჩევნო კომისიისათვის ბიულეტენების გადაცემას არჩევნებამდე არა უგვიანეს 7 დღისა. ყოველ საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს შესაბამის უბანში ამომრჩეველთა მართო რაოდენობაზე 5 პროცენტით მეტი ბიულეტენი. ბიულეტენების მიღებას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და მდივანი ხელმოწერით ადასტურებენ.

კენჭისყრის ჩატარება

მუხლი 28.

1. საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეაფოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს ნებისმიერი პირი, საარჩევნო კომისიის წევრის, ნლობით აღჭურვილი პირის, კანდიდატის, პარტიის ან საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლის გარდა.

2. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები, ამომრჩეველი შემოსაზრდის მხოლოდ იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის პარტიული სიის რიგით ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას, დანარჩენს კი გადახაზავს.

3. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია მონაცემები კანდიდატების თაობაზე, ამომრჩეველი შემოსაზრდის არაუმეტეს იმდენი კანდიდატის რიგით ნომერს, რამდენი წევრიცაა ასარჩევი შესაბამის საარჩევნო ოლქში.

4. თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მას შეუძლია დაუყოვნებლივ მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩეველის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და ცალკე შეინახება.

5. შევსებულ ბიულეტენს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში.

6. კენჭისყრის შენობა იღება 7 საათზე და იკვება 20 საათზე. ამ დროისათვის შენობაში მყოფ ამომრჩეველებს შეუძლიათ ხმის მიცემა.

ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

მუხლი 29.

1. ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მიეთითოს გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა. პაკეტზე ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე (მოადგილე) და მდივანი და სვამენ კომისიის ბეჭდს. ამავე წესით დაითვლება და პაკეტად შეიკვრება გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენებიც.

2. ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას და არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას.

3. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ბეჭდის მთლიანობას, ხსნის მას და ამოწმებს საკონტროლო ფურცლის არსებობას. თუ ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ამის შესახებ ოქმს უნდა დაერთოს კომისიის ახსნაგანმარტება.

4. კომისია ცალ-ცალკე ითვლის ყუთში არსებულ სხვადასხვა სახის დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას. ცალკე ითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები. ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის სხვადასხვა სახის ბიულეტენები ცალ-ცალკე კონვერტებში იდება და იმდღევარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს კონვერტიდან ბიულეტენების ამოღება ან მასში ჩადება. კონვერტებს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მათში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა და სახეობა.

5. პროპორციული სისტემით არჩევნებისას ბიულეტენი ნამდვილად იქნება ცნობილი, თუ ამომრჩეველმა ამ კანონით დადგენილი წესით შესაბამისად ერთ პარტიას, საარჩევნო ბლოკს მისცა ხმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება.

6. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნებისას ბიულეტენი ბათილად იქნება ცნობილი, თუ ამომრჩეველმა ხმა მისცა იმაზე მეტ კანდიდატს, რამდენიცაა ასარჩევი შესაბამის საარჩევნო ოლქში.

7. საარჩევნო ბიულეტენი ბათილად იქნება ცნობილი, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რომელ პარტიულ სიას ან კანდიდატს (კანდიდატებს) მისცა ხმა ამომრჩეველმა.

8. თუ საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობა საეჭვოა, საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია.

9. პროპორციული სისტემით არჩევნებისას კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის თითოეული სიისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები კონვერტში ისევ უნდა ჩაიწყოს, როგორც ამ მუხლის

მე-4 პუნქტშია მითითებული. ყოველ კონვენტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სიის სახელწოდება, ნომერი და ბიულეტენების რაოდენობა.

10. მაკორიგარული სისტემით არჩევნებისას კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები კონვენტში ისევ უნდა ჩაიწყოს, როგორც ამ მუხლის მე-4 პუნქტშია მითითებული. ყოველ კონვენტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა.

11. საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, ადგენს ოქმს, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მაკორიგარული სისტემით არჩევნებში მონაწილე ყოველი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, რაიონის და იმ სოფლის, დაბის, ქალაქის გერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს ერთ ოქმს, რომელშიც მითითებულია ყოველი პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ოქმში, აგრეთვე მითითებული უნდა იყოს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ნამდვილად და ბათილად ცნობილ ბიულეტენტთა რაოდენობა (ცალკე უნდა იყოს აღნიშნული დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენტთა რაოდენობა), არჩევნების შედეგად ყოველი სიის ან კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა. ოქმის ცალთა რაოდენობა ოთხით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი შესაბამისად პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელ კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. ოქმს უნდა დაესვა კომისიის ბეჭედი.

12. ოქმის ორი ცალი და ყველა საარჩევნო ბიულეტენი დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით. ოქმის ერთი ცალი ინახება საუბნო საარჩევნო კომისიაში, მეორე კი შესაბამისად უნდა ჩაბარდეთ კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს, პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს. **საარჩევნო კომისია ვალდებულია შედეგების შეჯამების შემდგომ ოქმის მონაცემები ხმების დათვლის შედეგების შესახებ დაუყოვნებლივ გამოაკრას გასაცნობად თვალსაჩინო ადგილზე.**

13. საარჩევნო უბანში ხმების დათვლისას სავალდებულოა ამ მუხლით დადგენილ მოქმედებათა თანამიმდევრობის დაცვა.

საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა. არჩევნების შედეგების გამოქვეყნება

მუხლი 30.

1. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნები მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის სულ ცოცხა ერთი მესამედი.

2. პროპორციული სისტემით სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლ-

დეს საარჩევნო ოლქში მანდატების რაოდენობაზე და გაიყოს პარტიების (საარჩევნო ბლოკების) მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას. **პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე იმ საკრებულოების არჩევნებში, სადაც ასარჩევია 21 წევრზე მეტი. მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ სიებზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ ხუთი პროცენტი.**

3. თუ სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი საარჩევნო ოლქში მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს. თუ ორი ან მეტი სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდება, მანდატი მიეკუთვნება იმას, რომელმაც საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

5. მაქორიგარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებში საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების თანახმად მრავალმანდაგიანი საარჩევნო ოლქის მისხდვით ადგენს გამოუყენებელი და გაუუჭებელი ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას, ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას, კანდიდატთათვის მიცემული ხმების რაოდენობას, არჩევნების შედეგებს.

6. მაქორიგარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების მრავალმანდაგიან საარჩევნო ოლქში ამ კანონის მისხდვით, საკრებულოში ასარჩევ წევრთა რაოდენობის შესაბამისად, არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებენ. თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული საოლქო საარჩევნო კომისიაში.

7. **საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს იმ შემთხვევაში, როდესაც უხეშად დაირღვა ეს კანონი. საჩივარი კანონის დარღვევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა, ხოლო გადაწყვეტილება არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ კომისიამ უნდა მიიღოს ორი დღის ვადაში. იმ საჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელთა საფუძველზედაც შესაძლოა არჩევნების ბათილად ცნობა, დაუშვებელია საოლქო საარჩევნო კომისიაში სიების ან კანდიდატების მიერ მიღებული ხმების დათვლა.**

8. საარჩევნო ოლქში არჩევნები ბათილად იქნება ცნობილი, თუ იმ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც არჩევნები ბათილად ჩაითვალა, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 20%-ზე მეტია.

9. თუ არჩევნები საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას, რომელიც საერთო არჩევნებიდან ორი კვირის ვადაში უნდა ჩატარდეს.

10. თუ ხელახალი ხმის მიცემისას არჩევნები საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ხელახალი ხმის მიცემის ჩატარებიდან ორი თვის ვადაში აგარებს ხელახალ არჩევნებს.

11. საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ამგვიცებს არჩევნების შედეგებს და ადგენს ოქმს.

12. ოქმის ცალთა რაოდენობა ოთხით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეგანილი პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. ოქმს ესმება კომისიის ბეჭედი.

13. ოქმის პირველი ცალი არჩევნების დამთავრებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, მეორე ინახება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი გადაეცემა საკრებულოს სამანდატო კომისიას და პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების ნდობით აღჭურვულ პირებს. საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია შედეგების შეჯამების შემდეგ ოქმი დაუყოვნებლივ გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას საყოველთაო გაცნობისათვის.

14. საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმში მითითებული უნდა იყოს:

ა) იმ საარჩევნო უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა და არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები; ბ) საკრებულოს გერიგორიაზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ასარჩევ პირთა რაოდენობა, არჩეულ პირთა რაოდენობა და ანბანურად დალაგებული მათი სია.

15. შედეგების შეჯამებიდან ათი დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ავგილობრივ გამეთეუმში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას შესაბამის გერიგორიაზე საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ. ცნობაში მითითებული უნდა იყოს, აგრეთვე არჩეული საკრებულოს წევრების პარტიულობა, დაბადების წელი, პროფესია, ძირითადი საქმიანობა, სამუშაო ადგილი.

დანართი III

დაკვირვების ოქმი

(ნიმუში)

1. დამკვირვებლის სახელი, გვარი, რომელი პარტიის (ბლოკის) ან კანდიდატის დამკვირვებელია _____

2. მისამართი, გელეფონის ნომერი _____

3. საარჩევნო ოლქი _____ მისამართი _____

4. საარჩევნო უბანი _____ მისამართი _____

5. საარჩევნო უბნის გახსნის დრო _____

6. საარჩევნო უბნის დახურვის დრო _____

7. დამკვირვებლის უბანში მოსვლის დრო _____

8. დამკვირვებლის უბნიდან წამოსვლის დრო _____

9. შეუფერხებლად დაგიშვებს თუ არა უბანში? თუ არა, რა არის ამის მიზეზი? _____

10. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (*სახელი, გვარი, პარტიულობა*) _____

11. საუბნო კომისიის წევრთა რაოდენობა. მათი პარტიულობა? _____

12. თქვენს გარდა რომელი პარტიის (ბლოკის) ან მაკორიგარი კანდიდატის დამკვირვებლები იმყოფებოდნენ საარჩევნო უბანში? _____

13. ყველა დამკვირვებელი დაუშვებს თუ არა უბანზე, თუ არ დაუშვებს, ვინ და რა მიზეზით? _____

14. დამკვირვებლებს გამოეყოთ თუ არა ისეთი ადგილი, რომელიც უზრუნველყოფს დამკვირვებლის ყველა ასპექტის განხორციელებას? _____

კენჭისყის დაწყებამდე შეამოწმეთ :

1. არის თუ არა საარჩევნო უბანში გამოკრული არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების სიები? _____

2. არის თუ არა უბანში გამოკრული ამომრჩეველთა სიები? _____

3. არის თუ არა უბანში გამოკრული ინსტრუქცია ხმის მიცემის წესის შესახებ? _____

4. არის თუ არა წესისამებრ მომზადებული ფარული კენჭისყრის კაბინები? _____

უზრუნველყოფენ თუ არა ხმის მიცემის ფარულობის დაცვას? _____

5. ფარული კენჭისყრის რამდენი კაბინაა უბანში? _____

6. თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა კაბინების რაოდენობა არჩევნების ნორმალურად ჩატარებისათვის? _____

7. არის თუ არა მოძრავი ყუთი? _____

8. რამდენი სარეგისტრაციო მაგიდაა? მიუთითეთ რეგისტრატორთა გვარები და პარტიულობა _____

9. ხომ არ არის უბანში ან კაბინაში ამა თუ იმ პარტიის ან კანდიდატის სააგიტაციო მასალა? თუ არის რომელი პარტიისა ან კანდიდატის? _____

10. კენჭისყრის დაწყებამდე, შემოწმდა თუ არა საარჩევნო ყუთების სი-
ცარიელე დამკვირვებლების თანდასწრებით? _____

11. წესისამებრ დაილუქა თუ არა საარჩევნო ყუთები? _____

12. საჯაროდ დაითვალა თუ არა კომისიამ მიღებული ბიულეტენების რაოდენობა? _____

13. რამდენი ბიულეტენია მიღებული სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკ-
რებულოს არჩევნებისათვის? რამდენი რაიონების, ქალაქების* საკრებულოს
არჩევნებისათვის? _____

14. პირველი ამომრჩევლის მოსვლის დრო _____

15. როდის იქნა ჩაშვებული ყუთში, კომისიის წევრებისა და პირველი
ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილი საკონტროლო ფურცელი? _____

16. თქვენს უბანზე სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩე-
ვები გარდება მაჟორიტარული თუ პროპორციული სისტემით?

კენჭისყრის დროს შეამოწმეთ :

1. გაცემა თუ არა საარჩევნო ბიულეტენები პირადობის მოწმობების გა-
რეშე? (მიუთითეთ ამგვარ შემთხვევათა რაოდენობა და წესის დამრღვევ
რეგისტრატორთა გვარები) _____

2. ხომ არ აძლევენ ამომრჩევლებს ბიულეტენების ერთ კომპლექტზე მეტს
(ოჯახის წევრების, ნათესავების მავივრად)? (მიუთითეთ ამგვარ შემთხვევათა
რაოდენობა და წესის დამრღვევ რეგისტრატორთა
გვარები) _____

3. რეგისტრაციას მხოლოდ საარჩევნო კომისიის წევრები აწარმოებენ? _____

4. ხომ არ მონაწილეობენ ხმის მიცემის ორგანიზაციაში პირები, რომელ-
თაც კანონით ამის უფლება არა აქვთ (ადგილობრივი ხელისუფლების და სა-
მართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, დეპუტატობის კანდი-
დატები, და სხვ.) თუ მონაწილეობენ, რა ფორმით?

5. ხომ არ ხდება ამომრჩეველზე ზემოქმედება ან აგიტაცია. თუ ხლებოდა, რამდენჯერ, ვის მიერ და რა ფორმით:

- გასცემენ წინასწარშეესებულ ბიულეტენებს
- ამომრჩეველს უვსებენ ბიულეტენს
- უთითებენ ბიულეტენში შესაბამის ნომერს
- ეწევიან სიგყვიერ აგიტაციას ამა თუ იმ პარტიის კანდიდატის სასარგებლოდ
- სხვა

6. ხომ არ არის უბანში პოლიციელი თავმჯდომარის მოწვევის გარეშე?

თუ პოლიციელი უბანში საუბნო კომისიის თავმჯდომარის მოწვევით იმყოფება მიუთითეთ მიზეზი _____

7. საარჩევნო კომისიის წევრები რეაგირებენ თუ არა საჩივრებზე?

8. მიუკერძოებლად მოქმედებენ თუ არა საარჩევნო კომისიის წევრები? (თუ არა მიუთითეთ ვინ) _____

9. მიუკერძოებლად მოქმედებენ თუ არა სხვადასხვა პარტიის დამკვირვებლები? (თუ არა მიუთითეთ ვინ) _____

10. მოძრავ საარჩევნო ყუთებს დაჰყვებიან თუ არა დამკვირვებლები?

11. წესისამებრ შედგა თუ არა იმ ამომრჩეველთა სია, რომელთაც ჯანმრთელობის გამო არ შეუძლიათ საარჩევნო უბანში მოსვლა? (მათი გვარები საარჩევნო კომისიას 12 საათამდე ეცნობა?)

12. ესწრებიან თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები? _____

13. ესწრებიან თუ არა სამოგადოებრივი ორგანიზაციების დამკვირვებლები? (ვინ?) _____

14. ესწრებიან თუ არა უცხოელი დამკვირვებლები? _____

15. რამდენმა ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა

12 საათისათვის? _____

16 საათისათვის? _____

19 საათისათვის? _____

20 საათისათვის? _____

16. კენჭისყრის დღეს მოხდა თუ არა ცვლილება ამომრჩეველთა სიებში?

სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნების სია

გაიზარდა (რა მიზეზით) _____

შემცირდა (რა მიზეზით) _____

რაიონების, ქალაქების* საკრებულოების არჩევნების სია

გაიზარდა (რა მიზეზით) _____

შემცირდა (რა მიზეზით) _____

17. დღის განმავლობაში რომელიმე დამკვირვებელი ხომ არ გაუძევებიათ უბნიდან, თუ გააძევეს, ვინ და რა მიზეზით, ვისი ინიციატივით, როდის და როგორ? _____

18. ხომ არ ჰქონია ადგილი უბანში ამომრჩეველთა იძულებით მოყვანას?

19. როდის დამთავრდა ხმის მიცემა? _____

ხმების დათვლის პროცესში ყურადღება მიაქციეთ :

1. ყუთის გახსნამდე კომისიამ საჯაროდ დაითვალა და პაკეტებად შეკრა თუ არა გამოუყენებელი ბიულეტენები?

• სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნების რამდენი ბიულეტენია გამოუყენებელი? _____

• რაიონების, ქალაქების* საკრებულოების არჩევნების რამდენი ბიულეტენია გამოუყენებელი? _____

2. ყუთის გახსნამდე კომისიამ საჯაროდ დაითვალა და პაკეტებად შეკრა თუ არა გაფუჭებული ბიულეტენები?

• სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნების რამდენი ბიულეტენია გაფუჭებული? _____

• რაიონების, ქალაქების* საკრებულოების არჩევნების რამდენი ბიულეტენია გაფუჭებული? _____

3. ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სივების მიხედვით კომისიამ დადგინა თუ არა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა და არჩევნებში მონაწილეთა (სივებში ხელმომწერთა რაოდენობა) უბანში?

4. რამდენია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნების სიაში? _____

5. რამდენია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა რაიონების, ქალაქების* საკრებულოების არჩევნების სიაში? _____

6. რამდენია ამომრჩეველთა რაოდენობა დამატებითი სივებში?

• სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნების სიაში?

• რაიონების, ქალაქების* საკრებულოების არჩევნების სიაში?

7. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა (სივებში ხელმომწერთა რაოდენობა) რეგისტრაციის მონაცემების მიხედვით?

• სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა _____

• რაიონების, ქალაქების* საკრებულოების არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა _____

8. გახსნის წინ გაისინჯა თუ არა საარჩევნო ყუთის ლუქი? _____

9. ყუთში აღმოჩნდა თუ არა საკონტროლო ფურცელი? _____

10. ხმის მიცემის მონაწილეთა (საარჩევნო ყუთში აღმოჩენილ ბიულეტენთა) რაოდენობა

• სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნებში _____

• რაიონების, ქალაქების* საკრებულოების არჩევნებში _____

11. ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა

• სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნებში? _____

• რაიონების, ქალაქების* საკრებულოების არჩევნებში? _____

12. კომისიის წევრები ბიულეტენის ბათილობას კენჭისყრით არკვევენ თუ არა? _____

13. რამდენი დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენი აღმოჩნდა ყუთში? —

14. ხმამაღლა აცხადებს თუ არა კომისია არჩევნების შედეგებს? —

15. შედეგების შეჯამების დამთავრების დრო _____

16. შედეგების შეჯამების დროს ხომ არ გამოაძევეს რომელიმე დამკვირ-
ვებელი? ვინ? რატომ? ვისი ინიციატივით? _____

17. ხომ არ მონაწილეობდნენ ხმების დათვლის პროცესში პირები, რომლე-
ბიც კომისიის წევრები არ არიან? კერძოდ ვინ? _____

18. ოქმი შეივსო ფანქრით კალმით

19. კომისიის ყველა წევრმა მოაწერა თუ არა ხელი ოქმს? ვინ არ მოაწ-
ერა? რა მიზეზით? _____

20. ყველას გადაეცა თუ არა ოქმები? ვის არ გადაეცა? რა მიზეზით?

**რაიონის, ქალაქის* არჩევნებში პარტიების მიერ მიღებული
ხმები:**

**სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნებში პარტიების მიერ
მიღებული ხმები**

**სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნებში დეპუტატობის
კანდიდატების მიერ მიღებული ხმები:**

პირადად თქვენ როგორ შეფასებას მისცემდით ხმის მიცემის
პროცესს?

- ძალიან ცუდი (ძალიან ბევრ მძიმე დარღვევას ჰქონდა ადგილი)
- ცუდი (ცალკეული მძიმე დარღვევები)

- დამაკმაყოფილებელი (ბევრი მცირე დარღვევა)
- კარგი (ცალკეული მცირე დარღვევები)
- საუკეთესო (საერთოდ არ იყო დარღვევები)

დამკვირვებლის კომენტარები (დამატებითი ინფორმაცია)

დამკვირვებლის ხელისმოწერა _____

* ქალაქებში იგულისხმება თბილისი, ბათუმი, სოხუმი, რუსთავი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი

დანართი IV

საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის, მისი გასაჩივრების, და მასზე პასუხისმგებლობის შესახებ

კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების არჩევნების შესახებ

მუხლი 18. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება და მოქმედება სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

2. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების (მოქმედების) სასამართლოში გასაჩივრებისათვის აუცილებელი არ არის შემდგომი საარჩევნო კომისიისათვის წინასწარი მიმართვა.

კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

მუხლი 20. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემაჯავლი პირის უფლება-მოვალეობანი

5. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემაჯავლ პირთ უფლება არა აქვთ არჩევნების დროს მონაწილეობა მიიღონ ავტომატურად არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

მუხლი 22. ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

10. ამოწმებს საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებათა კანონიერებას, საჭიროების შემთხვევაში აუქმებს მათ და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას; საგანგებო შემთხვევაში, თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას ქვემდგომი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილი ჯგუფისათვის ამ საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების გადაცემის შესახებ.

22. განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

მუხლი 24. საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

საოლქო საარჩევნო კომისია:

16. განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები.

მუხლი 26. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

საუბნო საარჩევნო კომისია:

8. განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს.

მუხლი 29. საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების განხორციელებაში

2. საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს შემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოშიც.

მუხლი 13. პარტიების საარჩევნო რეგისტრაცია

3. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში პარტიას უფლება აქვს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტყვიანოს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 34. მოქალაქისათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა, ამომრჩევლის ბარათების დარიგება და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება

3. ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უმუსგობანი. სიაში უმუსგობის დაშვების შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს – დაუყოვნებლივ, განიხილოს განცხადება, შეიგანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან

განმცხადებელს მისცეს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომელიც მოვალეა სამი დღის ვადაში განიხილოს საჩივარი. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 47. წინასაარჩევნო აგიტაცია

7. არჩევნების დღეს ყოველგვარი აგიტაცია, გარდა ხმის მისაცემი შენობის გარეთ აღრე გამოკრული სააგიტაციო მასალისა, აკრძალულია.

11. საარჩევნო კამპანიის პერიოდში იკრძალება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამშრომლების პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

12. საქართველოს პარლამენტის არჩევნების კანონის მიღების დღიდან არჩევნებში მონაწილე პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და პარლამენტის წევრობის კანდიდატებს, მათ რწმუნებულებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს ეკრძალებათ მაგერიალური და სასაქონლო ფასეულობებით ამომრჩეველთა მიმხრობა, გარდა პროპაგანდისგული მასალისა. ასეთ შემთხვევებში არჩევნებში მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, პარლამენტის წევრობის კანდიდატის რეგისტრაცია გაუქმდება.

მუხლი 31. საარჩევნო კომისიების მუშაობის საჯაროობა

2. პარტიის, საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენლის უფლება-მოსილება დადასტურებული უნდა იყოს ამ გაერთიანების ხელმძღვანელი პირის ხელმოწერილი წარდგინებით, ხოლო მეთვალყურისა – პარლამენტის წევრობის კანდიდატის, პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულის წარდგინებით. წარდგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს სხდომამდე არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო უბანში არჩევნებზე დასასწრებად საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია იძლევა დასაბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება შემდგომ საარჩევნო კომისიაში.

კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების არჩევნების შესახებ

მუხლი 6. ფარული კენჭისყრა

საკრებულოების არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია. კონკრეტული ამომრჩეველთა ნების გამოვლენისადმი დაუშვებელია.

მუხლი 22. დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერთა სია და მისი შემოწმება

2. საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ შემოწმონ ხელმოწერების ნამდვილობა. ხელმოწერებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა საჩივარს საარჩევნო კომისია მიიღებს მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 დღისა.

მუხლი 23. პარტიული სიებისა და საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატთა რეგისტრაცია

9. რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს, აგრეთვე დამოუკიდებელ კანდიდატებს უფლება აქვთ 3 დღის ვადაში გაასაჩივრონ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ უკანასკნელისა – საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ საჩივრის შეგანიდან 2 დღის ვადაში.

10. ცენტრალური საარჩევნო კომისია საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის საარჩევნო რეგისტრაციას გაუქმებს იმ პარტიას, საარჩევნო ბლოკს, რომლის პარტიული სია აღმოჩნდება არსებული მრავალმანდაგიანი პროპორციული საარჩევნო ოლქების საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებში.

მუხლი 30. საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა. არჩევნების შედეგების გამოქვეყნება

7. საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნებში ბათილად ცნოს იმ შემთხვევაში, როდესაც უხეშად დაირღვა ეს კანონი. საჩივარი კანონის დარღვევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა, ხოლო გადაწყვეტილება არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ კომისიამ უნდა მიიღოს ორი დღის ვადაში. იმ საჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელთა საფუძველზედაც შესაძლოა არჩევნების ბათილად ცნობა, დაუშვებელია საოლქო საარჩევნო კომისიაში სიების ან კანდიდატების მიერ მიღებული ხმების დათვლა.

მუხლი 35. პასუხისმგებლობა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ კანონის დარღვევისათვის

2. იმ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და კანდიდატებს, რომლებიც დაუშვებენ ამ კანონით დადგენილი საარჩევნო ფონდის ზღვრული ოდენობის გადამეტებას, ან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს, ან არამართლმომიერად გამოიყენებენ სახსრებს, ჩამოერთმევათ ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში – საკრებულოებში მათ მიერ მოპოვებული მანდატები და გამოკლებული წევრების ნაცვლად არჩევნებში მონაწილეობის უფლება, აგრეთვე ეკრძალებათ საკრებულოების მომდევნო ორი მოწვევის განმავლობაში ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობა. ასეთი დარღვევების საქმეს განიხილავს ის სასამართლო, რომლის იურისდიქციას დაქვემდებარებულ გეოგრაფიულ მთხდა კანონის დარღვევა. სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს

სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

1. პირებს, რომლებიც ძალადობით, მუქარით, მოსყიდვით ან სხვა გზით ხელს უშლიან საქართველოს მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილება – აირჩიოს და იყოს არჩეული წარმომადგენლობით ორგანოებში, ეწეოდეს წინასაარჩევნო აგიტაციას, ერევიან საარჩევნო კომისიების საქმიანობაში და ხელს უშლიან საარჩევნო უბნებში ხმის მიცემას, კანდიდატის რეგისტრაციასთან, ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას, აქვეყნებენ ან სხვა საშუალებებით ავრცელებენ კანდიდატის პატივისცემა და ღირსების შემლახავ ცნობებს ან აგიტაციას ეწევიან არჩევნების დღეს, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრებს, სახელმწიფო და სამოგალობრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალოს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება, საარჩევნო კომისიებს არ წარუდგინეს საჭირო მასალები ან არ შეასრულეს მათი გადაწყვეტილებები, ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის დადგენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

მუხლი 174³. საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევა არჩევნების, რეფერენდუმების ან პლებისციტის დროს

აღნიშნული გულისხმობს საარჩევნო უბანში ხმის მიცემის, პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატის, პარტიის ან რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის, საარჩევნო უბნებსა და ოლქებში ხმების დათვლასა და არჩევნების, რეფერენდუმების ან პლებისციტის საერთო შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლას.

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 1-დან 3 მინიმალურ ოდენობამდე. (მინიმალური ოდენობა 1,50 ლარი)

მუხლი 174⁴. საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიებისათვის მასალების წარმოდგენაზე უარის თქმა ან მათი გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 2-დან 5 მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 174⁵. აგიტაციის გაწევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის დღეს

არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის დღეს პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატისა და არჩევნებში მო-

ნაწილად პარტიის, რეფერენდუმზე ან პლემბისციტზე გამოცანილი საკითხის სა-
სარგებლოდ ან წინააღმდეგ ავტიგაციის გაწევა.

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 1-დან 3 მი-
ნიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების 2-დან
4 მინიმალურ ოდენობამდე.

**მუხლი 174⁶. წინასაარჩევნო ავტიგაციის ან ხმის მიცემისათვის გა-
მოყოფილ ადგილებში იარაღით მისვლა**

1. წინასაარჩევნო ავტიგაციის ან ხმის მიცემისათვის გამოყოფილ ადგილას
ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით, ანდა საბრძოლო მასალით მისვლა, თუ ეს
დაკავშირებული არ არის სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებასთან,

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 1-დან 3 მი-
ნიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების 2-დან
5 მინიმალურ ოდენობამდე.

2. იგივე მოქმედება, თუ თან ახლავს იარაღის დემონსტრირება:

მოქალაქეთათვის – 2-დან 5 მინიმალურ ოდენობამდე,

თანამდებობის პირთათვის – 3-დან 6 მინიმალურ ოდენობამდე.

ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ რაიონის
(ქალაქის) სასამართლოები (მოსამართლეები, აღმინისგრაციული მოსამართ-
ლეები).

ზემოაღნიშნული სამართალდარღვევების განხილვის ვადაა 3 დღე, თუ კა-
ნონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

აღმინისგრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს 2 თვისა სა-
მართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დე-
ნაღია – არა უგვიანეს 2 თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

აღმინისგრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ დგება ოქმი. ოქმს ად-
გენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისდამი დაქვემ-
დებარებული კომისიები ან კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები.

ოქმში აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი; შემდგენის თანამდებობა, სა-
ხელი, მამის სახელი და გვარი; მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ;
აღმინისგრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;
ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამარ-
თალდარღვევისათვის; მოწმეთა და დამარალებულთა გვარები და მისამარ-
თები, თუ ისინი არიან; დამრღვევის ახსნა-განმარტება; საქმის გადასაწყვეტად
საჭირო სხვა ცნობები.

ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და დამრღვევი; თუ არიან მოწმეები და
დამარალებულნი, ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც.

თუ დამრღვევი უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სა-
თანალო ჩანაწერი. სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმი-
სათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შეინიშნებინოს ოქმის შინაარსის გამო,
აგრეთვე ჩამოაყალიბოს ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აღინიშნება ოქმში (მას უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალას, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობანი, ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით, გაასახიფროს საქმის გამო მიღებული დადგენილება, გამოვიდეს სახელმწიფო ენაზე და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს თარჯიმანი).

საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებისათვის დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 139. მოქალაქის საარჩევნო, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის ან სხვა პოლიტიკური და შრომის უფლებების განხორციელებისათვის ხელის შეშლა

მოქალაქის საარჩევნო, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის ან სხვა პოლიტიკური და შრომის უფლებების განხორციელებისათვის ხელის შეშლა მოგყუებით, მოსყიდვით, მუქარით, ძალადობით ან სხვა გზით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით 3 000 ლარამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღისა თუ საბრძოლო მასალის გამოყენებით, აგრეთვე მოქალაქის ქონების დაზიანებით ან განადგურებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, თუ მას მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი, ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტი წლამდე.

მუხლი 139¹. პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატისა და არჩევნებში მონაწილე პარტიის, რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფის პატივისა და ღირსების შემლახავი მონაჭორის გაერცელება

წინასწარი შეენობით პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატისა და არჩევნებში მონაწილე პარტიის, რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფის პატივისა და ღირსების შემლახავი მონაჭორის გაერცელება, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ათას ლარამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი ნაბეჭდი ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით ორი ათას ლარამდე.

მუხლი 140. საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტების

გაყალბება ან ხმების არასწორი დათვლა

საარჩევნო, სარეფერენდუმი ან საპლებისციტო ღოკუმენტების გაყალბება ან ხმების შეგნებულად არასწორი დათვლა, აგრეთვე ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევა, ჩადენილი საარჩევნო კომისიის წევრის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ხუთი ათას ლარამდე.



გთავაზობთ **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება №18 მოქალაქის საარჩევნო უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ, რომელიც გაშთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1995 წლის 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა. მასში განმარტებულია სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო.**

მართალია უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება ნორმატიული აქტების შესახებ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან აღარ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს და იგი სასამართლოებისათვის სავალდებულო აღარ არის, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტი, რომ შემოთხსენებული დადგენილება ძალადაკარგულად იმის გამო კი არ გამოცხადდა, რომ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან კანონმდებლობას, უბრალოდ უზენაეს სასამართლოს არა აქვს უფლება მიიღოს ნორმატიული აქტი. ჩვენ ამ დადგენილებას ვაქვეყნებთ, როგორც ინფორმაციას, თუნდაც თეორიულ შეხედულებას, ან კომენტარს, რომელიც შეიძლება წარმატებით გამოიყენოს პროცესის მონაწილე ყველა მხარემ. დადგენილების გამოქვეყნება, აგრეთვე, მიზნად ისახავს საზოგადოებისათვის, მათ შორის, არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის ცხადი გახადოს კანონის ზუსტი შინაარსი, შეახსენოს ყველას საარჩევნო უფლებების განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები და შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიებანი.

მოქალაქის საარჩევნო უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის სწორი გამოყენებისა და ამ საქმეებზე თანამიმდევრული პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, უზენაესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. სსკ-ის 139-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოქალაქის როგორც პასიური, ისე აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო. ეს გულისხმობს დამნაშავეს მიერ ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც აბრკოლებენ საარჩევნო უფლების განხორციელებას. საარჩევნო უფლების განხორციელების ხელის შეშლას განეკუთვნება საინიციატივო ჯგუფის წევრთა მიერ დეპუტატობის კანდიდატის წარდგენი-

სათვის, ღეპუგატობის კანდიდაგის ნლობით აღჭურვილ თუ ხელშეწყობ პირთა, ასევე არჩევენში მონაწილე პარგისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებულთა ან სხვა უფლებამოსილ პირთა შესაბამისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა.

2. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება საარჩევნო უფლების განხორციელების დამარკოლებელი ქმედობის ჩადენის მომენგიდან, იმისდა მიუხედავად, დაირღვა თუ არა საბოლოოდ მოქალაქის საარჩევნო უფლება, ე.ი. აღეკვეთა თუ არა მას არჩევენში მონაწილეობის საშუალება, ან შეემღღდა თუ არა მასში მონაწილეობისას თავისი პოლიგიკური ნების გამოვლენის შესაძლებლობა.
3. იმისათვის, რომ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა დანაშაულად ჩაითვალოს, მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა დამარკებულისათვის აშკარა, რომ მას ხელს უშლიდნენ ამ უფლების განხორციელებისას, ან გააცნობიერა თუ არა მან საბოლოოდ ეს გარემოება, საკმარისია დადგინდეს, რომ დამნაშავის ქმედობამ მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელება თბიექტურად დააბრკოლა.
4. დანაშაულია მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის მხოლოდ ისეთი ხელის შეშლა, რომელიც ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებულთ უნდა ჰქონდეს, რომ თავისი ქმედობით ხელს უშლის მოქალაქეს საარჩევნო უფლების განხორციელებაში და ეს უნდა გამოხატავდეს მის ნება-სურვილს.
5. მოგყუებით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას განეკუთვნება ხმის მიცემის ადგლისა და დროის, საარჩევნო ბიულეტენის შევსებისა თუ ხმის მიცემის წესის თაობაზე მოქალაქისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება და სხვ.
ამავე ხერხით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლად ჩაითვლება არჩვენში მონაწილე პარგისა (ბლოკისა) თუ ღეპუგატობის კანდიდაგის მონაცემების შესახებ მოქალაქისათვის ისეთი ხასიათის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აშკარად მცდარ წარმოდგენას ქმნიდა მათზე და შეძლო გეგავლენა მოეხდინა მოქალაქის არჩევანზე.
თუ ასეთი ინფორმაცია ხელყოფს პარგისა (ბლოკისა) თუ ღეპუგატობის კანდიდაგის პაგისა და ღირსებას, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 139¹-ე მუხლით.
6. მოსყიდვით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა გულისხმობს მაგერიალური თუ სხვა სამღაურით, ან მისი დაპირებით მოქალაქის დაყოლიებას, ან დაყოლიების მცდელობას, დამნაშავის ნება-სურვილის შესაბამისად განხორციელოს თავისი საარჩევნო უფლება.
7. მუქართი საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლად ჩაითვლება ფსიქიკური ზემოქმედებით მოქალაქის იძულება, ან იძულების მცდელობა, დამნაშავის მოთხოვნის შესაბამისად განხორციელოს თავისი საარჩევნო უფლება. ასეთი ფსიქიკური ზემოქმედებაა მოქალაქის დამინება, რომელსაც შეეძლო რეალურად მოეხდინა გავლენა მის არჩევანზე.
8. ძალადობა, როგორც საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ხერხი, გულისხმობს მოქალაქეზე ფიზიკურ ზემოქმედებას (ცემა, სხეულის დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა), ფიზიკური დაბრკოლების

შექმნას (მაგალითად, საარჩევნო უბნის პიკეტირება, მოქალაქის დაკავება ქუჩაში ან სხვა ადგილას) და სხვ.

ცემას და სხეულის მსუბუქ დამიანებას მოიცავს 139-ე მუხლი და კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით საჭირო არ არის.

თუ ძალადობას თან ახლდა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქმედობის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით – ამ მუხლის I ნაწილითა და 133-ე მუხლით.

9. სხვა ხერხით ამ დანაშაულის ჩადენას განეკუთვნება საარჩევნო ბიულეტენების ფარული გაგაცემა, ან მისი ამკარად გაგაცემა, თუ მას არ ახლდა მოქალაქეზე ძალადობა ან მისი განხორციელების მუქარა; ასევე, საარჩევნო კომისიის წევრის თუ სხვა თანამდებობის პირის მიერ მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა მათი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით და სხვ.

ასეთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოიხატებოდეს არჩევნების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საარჩევნო კომისიების საქმიანობის წესის განზრახი დარღვევით, რომელმაც გამოიწვია, ან წინასწარი შეცნობით შეეძლო გამოეწვია მოქალაქეთა საარჩევნო უფლების შელახვა. მაგალითად, მოქალაქეთათვის საარჩევნო ბიულეტენების მიუსუცემლობა; არჩევნების დღეს საარჩევნო უბნის კანონით გათვალისწინებულ დროზე გვიან გახსნა ან ადრე დაკეცვა; დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის წესების ისეთი დარღვევა, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის ეყარა კენჭი, ან ამ მიზნით დაბრკოლების სხვაგვარად შექმნა.

თუ საარჩევნო კომისიის წევრის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გამოიხატა საარჩევნო ღოკუმენტების გაყალბებით, ხმების არასწორი დათვლით, ან ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევით, ქმედობა დაკვალიფიცირდება სსკ 140-ე მუხლით.

თუ ამ პირთა მიერ ჩადენილ ქმედობაში სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებული ისეთი თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნები, როგორცაა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის უფლებამოსილების გადამეგება, მექრთამეობა, სამსახურებრივი სიყალბე, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

10. ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღისა თუ საბრძოლო მასალის გამოყენებად ჩაითვლება მათი ხმარება, როგორც მოქალაქის დამინების საშუალებად ძალადობის ან მუქარის განხორციელების დროს, ასევე სხეულის დასამიანებლად ან სიცოცხლის მოსასპობად.

იარაღისა ან საბრძოლო მასალის დემონსტრირება საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ პირი მოქმედებდა საარჩევნო უფლების ხელის შეშლის განზრახვით და ის უკავშირდებოდა მოქალაქის მიმართ ძალადობის ან მუქარის განხორციელებას. სხვა შემთხვევაში ის წარმოადგენს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174⁵-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომას.

11. სსკ 139-ე მუხლის მიხედვით, მძიმე შედეგად ჩაითვლება სხეულის მძიმე დაზიანება, მოქალაქეთა პირადი, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ქონებისათვის განსაკუთრებით დიდი მატერიალური ზიანის მიყენება (მაგალითად, შენობების დანგრევა, დაწვა, აფეთქება და სხვ.); ასევე; საარჩევნო უბანში არჩევნების ჩაშლა, არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა და სხვ.
12. „აღამიანის მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი“, რაც გათვალისწინებულია მუხლის III ნაწილით, იმ შემთხვევაში შეერაცხება პირს ბრალად, თუ დადგინდა, რომ ამ შედეგების მიმართ დამნაშავეს ფსიქიკური დამოკიდებულება გამოიხატებოდა გაუფრთხილებლობით. ამის შესაბამისად:
 - ა) თუ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას მოჰყვა მოქალაქის გაუფრთხილებელი მკვლელობა ან გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე დაზიანება, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ამ მუხლის III ნაწილით.
 - ბ) თუ დამნაშავეს ქმედობას თან ახლდა მოქალაქის განზრახ მკვლელობა ან სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – ამ მუხლის I ან II ნაწილითა და პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით (სსკ 104-ე, 105-ე, 110-ე მუხლები).
 - გ) თუ დამნაშავეს ქმედობას თან ახლდა სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს ამ მუხლის I ან II ნაწილითა და 111-ე მუხლით, ხოლო თუ ასეთი შედეგი დამნაშავეს გაუფრთხილებლობას მოჰყვა – ამ მუხლის I ან II ნაწილითა და 115-ე მუხლით.
13. „მოქალაქის პირადი ქონების დაზიანება ან განადგურება“, რაც გათვალისწინებულია მუხლის II ნაწილით, დამნაშავეს განზრახ ბრალს გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში ქმედობა არ მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას სსკ-ის 157-ე მუხლით.

თუ მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას თან ახლდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი დაზიანება, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ამ მუხლის I ან II ნაწილითა და სსკ-ის მე-100 მუხლით. ხოლო, თუ მას მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გაუფრთხილებელი დაზიანება, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს მძიმე შედეგად და მიყენებულია საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ამ მუხლის I ან II ნაწილითა და 101-ე მუხლით.
14. პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დანაშაულის ჩადენის ხერხი, დანაშაულებრივი განზრახვის შინაარსი, კერძოდ, თუ რისკენ იყო ის მიმართული – მოქალაქის საარჩევნო უფლებების აღსაკვეთად თუ მისი განხორციელების შესაძლებლობის შეზღუდვისაკენ; ასევე, გასათვალისწინებელია, დაირღვა თუ არა დამნაშავეს მოქმედების შედეგად მოქალაქის საარჩევნო უფლება.

უმენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. უგრეხელიძე

დანართი V

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების საკანონმდებლო საფუძვლები

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა, მისი მოწყობა და ფუნქციონირება საქართველოში სახელმწიფო მშენებლობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. თუ ცენტრალური ხელისუფლების, განსაკუთრებით პარლამენტისა და მთავრობის საკანონმდებლო ბაზა და მოქმედების წესი ასე თუ ისე გარკვეულია, ქვეყნის ადგილობრივი მოწყობის შესახებ კანონები მხოლოდ წელს უნდა ამოქმედდეს.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა საკრებულოების არჩევნების შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა საკრებულოების არჩევნების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით.

„საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი თვითმმართველობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით“.

საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველობის სისტემას ქვეყანაში ორი კანონი არეგულირებს. ესენია „კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ და „კანონი საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“.

ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ორგანულმა კანონმა შემდეგნაირად განსაზღვრა:

მუხლი 1.

1. ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, დადგენილი წესით, თვითმმართველობის ერთეულებში მათ მიერ შექმნილი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, კანონის საფუძველზე, საკუთარი

პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღლებად.

2. ადგილობრივი მმართველობა არის კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა, რომელიც ადგილებზე, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვას.

ამავე კანონის მეოთხე მუხლის ძალით:

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სოფელში, თემში, დაბასა და ქალაქში.

3. ადგილობრივი მმართველობა ხორციელდება რაიონებსა და იმ ქალაქებში, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში (ქქ. ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი).

მეცხრე მუხლის თანახმად თვითმმართველობის პირველ დონეზე (სოფელი, თემი, დაბა, რაიონული დაქვემდებარების ქალაქი) თვითმმართველობის ორგანოა საკრებულო და მის მიერ დანიშნული/არჩეული გამგეობა.

საქართველოს დიდი ქალაქებისა და დედაქალაქის საკრებულოები აირჩევა პროპორციული სისტემით. ხოლო მმართველობის ორგანოს (მერიის) ხელმძღვანელს (მერს) ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. (მუხლი 10).

ამავე პრინციპით ხდება რაიონების თვითმმართველობისა და მმართველობის (გამგეობა) ორგანოთა შექმნა (მუხლი 11).

ქალაქ თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის სისტემის პრინციპები რეგულირდება კანონით „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“.

კანონის მე-11 მუხლის ძალით თბილისის თვითმმართველობის ორგანოს წარმოადგენს პროპორციული წესით არჩეული ქალაქის საკრებულო.

საკრებულოების არჩევის წესს („ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის 1 პუნქტიდან, მე-11 მუხლის 1 პუნქტიდან, და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის 2 პუნქტიდან გამომდინარე) ადგენს კანონი „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ“.

კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების არჩევნების შესახებ

მუხლი 1. არჩევნების საფუძვლები

1. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების (შემდგომი – საკრებულოები) არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნები ტარდება მრავალმანდაგიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 2000-ს.

3. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნები ტარდება მრავალმანდაგიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 2000-ს.

4. საკრებულოს წევრები აირჩევიან მისი უფლებამოსილების ვადით – 3 წლით.

მუხლი 3. საყოველთაო საარჩევნო უფლება

1. საკრებულოების არჩევნები საყოველთაოა. არჩევნის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა და საკრებულოების არჩევნებამდე არა უგვიანეს სამი თვისა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე.

3. არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს:

ა) მოქალაქე, რომელიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო;

ბ) მოქალაქე, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელთა აღსრულების დაწესებულებაში;

გ) არჩევნების დღისათვის სამღვარვარეთ მუღმივად ან დროებით მცხოვრები საქართველოს მოქალაქე.

4. საქართველოს მოქალაქეობის მქონე ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობენ მხოლოდ რაიონის, ქალაქების – თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოების არჩევნებში შესაბამისი სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილის მიხედვით.

მუხლი 4. თანასწორი საარჩევნო უფლება

საკრებულოს არჩევნები თანასწორია. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებში ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებში ამომრჩეველს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი წევრისაა ასარჩევი შესაბამისი საარჩევნო ოლქში.

მუხლი 6. ფარული კენჭისყრა

საკრებულოების არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია. კონკრული ამომრჩეველთა ნების გამოვლენისადმი დაუშვებელია.

მუხლი 8. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისას

2. საარჩევნო კომისიები არჩევნებს ამზადებენ და ატარებენ ღიად და საჯაროდ.

3. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, აწვდიან ცნობებს საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნის, საარჩევნო კომისიების შემადგენლობის, ადგილსამყოფელის, მუშაობის დროის, ამომრჩეველთა სიების, საკრებულოების წევრობის კანდიდატების (შემდგომში – კანდიდატი) სახელის, გვარის და რეგისტრაციის შესახებ, თითოეული კანდიდატის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების თაობაზე.

მუხლი 9. საკრებულოების შემადგენლობა

1. საკრებულოები შედგება:

ა) ხუთი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 500-ს;

ბ) შვიდი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 1 000-ს;

გ) ცხრა წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 2 000-ს;

დ) ცამეტი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 5 000-ს;

ე) ჩვიდმეტი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 10 000-ს;

ვ) ცხრამეტი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 30 000-ს;

ზ) ოცდაერთი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 50 000-ს;

თ) ოცდახუთი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა 50 000-ზე მეტია.

2. ქალაქების – ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოები შედგება 30 წევრისაგან.

3. ქალაქ თბილისის საკრებულო შედგება 55 წევრისაგან.

მუხლი 10. საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობისა და კანდიდატის დასახელების უფლება

საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობისა და კანდიდატის დასახელების (წარდგენის) უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პარტიებსა და მათ გაერთიანებებს – საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციას გადიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, აგრეთვე კანდიდატის დასახელების (წარდგენის) უფლება აქვთ ამომრჩეველთა არანაკლებ ხუთკაციან საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციას გადიან შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 14. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია

საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია წარმოებს „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

მუხლი 8. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატა დასახელების უფლება

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პარტიას, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია 50.000 ამომრჩევლის ხელმოწერით მაინც ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისთვის.

მუხლი 13. პარტიების საარჩევნო რეგისტრაცია

1. არჩევნებში მონაწილეობისა და საარჩევნო კომისიებში თავისი წარმომადგენლების დანიშვნის უფლების მისაღებად პარტიები რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რისთვისაც არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 50-ე დღისა კომისიას უნდა წარუდგინონ პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სახელწოდება, რომლითაც პარტია მონაწილეობს არჩევნებში (ეს სახელწოდება არ უნდა ემთხვეოდეს ადრე რეგისტრირებული პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სახელწოდებას). განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-40 დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ მის მიერ დადგენილი წესით შევსებული მხარდამჭერთა სიები (ამ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული რეგისტრაციის მოწმობა კანონმდებლობის შესაბამისად პარტიის რეგისტრაციის შესახებ. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) ვინაობა და პარტიის რწმუნებულის გვარი, სახელი, მისამართი და გელეფონის ნომერი. რწმუნებულს ცენტრალური საარჩევნო კომისია აძლევს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ.

2. მეომთ ჩამოთვლილი პირობების შესრულებიდან 6 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია წყვეტს პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის საკითხს და აძლევს სათანადო ცნობას მის რწმუნებულს. რეგისტრაციაში არ გატარდება პარტია, რომლის საქმიანობა შეჩერებულია კანონით დადგენილი წესით.

3. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში პარტიას უფლება აქვს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

4. რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ გაზეთებში, რადიოთა და ტელევიზიით აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიების სიას განცხადებათა წარდგენის რიგის მი-

ხელვით, აგრეთვე იმ პარტიათა სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრირებაზე და უარის თქმის მიზეზებს.

მუხლი 14. საარჩევნო ბლოკები და მათი რეგისტრაცია

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკებად (ბლოკს შეიძლება ეწოდოს სახელი, რომელიც არ უნდა ემთხვეოდეს უფრო ადრე რეგისტრირებული ბლოკის ან პარტიის სახელს; იგი არ შეიძლება შეიცავდეს იმ პარტიის სახელს, რომელიც არ შედის მოცემულ ბლოკში), რომელთა რეგისტრირებაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მთავრდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 25-ე დღისა.

2. კომისიისთვის წარდგენილ სათანადო განცხადებას ხელს აწერს ბლოკში შემაჯავლი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი. მასში დასახელებული უნდა იყოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბლოკის რწმუნებულის ვინაობა, მისი მისამართი და გელეფონის ნომერი. რწმუნებულს კომისია აძლევს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ. განცხადებას უნდა ერთვოდეს საარჩევნო ბლოკში შემაჯავლი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი საარჩევნო ბლოკის წესდება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით ბლოკის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, მათ შორის, პარლამენტის წევრობის კანდიდატა წარდგენისა და წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების, ბლოკიდან პარტიის გასვლის, ბლოკში ახალი წევრის მიღებისა და ბლოკიდან პარტიის გარიცხვის წესები; მითითებული უნდა იყოს პირი (პირები), რომელსაც აქვს ბლოკის განცხადებაზე ხელმოწერის უფლება.

3. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციიდან ორი დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით აქვეყნებს ცნობას საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციის შესახებ.

4. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთანავე წყდება ბლოკში გაერთიანებული პარტიების მიერ დანიშნულ საარჩევნო კომისიის წევრთა და რწმუნებულთა უფლებამოსილება. საარჩევნო ბლოკებს უფლება აქვთ ყველა საარჩევნო კომისიაში დანიშნონ საარჩევნო კომისიის წევრი და რწმუნებული.

5. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა საარჩევნო ბლოკში ანდა დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში.

კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების არჩევნების შესახებ

მუხლი 15. საარჩევნო ოლქები

1. თითოეული რაიონის, თემის, დაბისა და ქალაქის საკრებულოების ასარჩევად, რომელთა გერიგორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე იქმნება ერთი მრავალმანდაგიანი საარჩევნო ოლქი.

2. იმ სოფლის, თემის, დაბის და ქალაქის საკრებულოების ასარჩევად, რომელთა გერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება, მაქორიტიკარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე იქმნება ერთი მრავალ-მანდატიანი საარჩევნო ოლქი.

3. რაიონის და ქალაქების – ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საარჩევნო ოლქებს ქმნის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

4. სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საარჩევნო ოლქებს ქმნის რაიონის საოლქო საარჩევნო კომისია.

5. საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნებადღე არა უგვიანეს 55 დღისა შესაბამის ადგილობრივ გაზეთებში აქვეყნებენ ცნობას საარჩევნო ოლქების თაობაზე, მათი საზღვრების მითითებით.

მუხლი 16. საარჩევნო უბნები

საკრებულოების არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად იქმნება საარჩევნო უბნები „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

მუხლი 16. საარჩევნო უბნები

1. პარლამენტის არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქები იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 45 დღისა. ძნელად მისადგომ ადგილებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში – არჩევნებადღე არა უგვიანეს 5 დღისა.

2. საარჩევნო უბნებს ქმნიან საოლქო საარჩევნო კომისიები რაიონის (ქალაქის, ქალაქის რაიონის) გერიტორიაზე მოქმედი ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარდგინებითა და მათთან შეთანხმებით. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე წესით გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში საარჩევნო უბნები იქმნება საქართველოს მთავრობის წარდგინებით. საარჩევნო ოლქისათვის ამ უბნების მიკუთვნების საკითხს წყვეტს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

3. საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ დაწესებულებებში, ძნელად მისადგომ ადგილებში.

4. საოლქო საარჩევნო კომისია უბნების შექმნიდან 5 დღის ვადაში ადგილობრივ გაზეთებში, ადგილობრივი რადიოთი და ტელევიზიით აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიებისა და ხმის მისაღწევი შენობების მისამართებს.

კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების არჩევნების შესახებ

მუხლი 17. საარჩევნო კომისიები

2. საოლქო საარჩევნო კომისია არ იქმნება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. თბილისის საკრებულოს არჩევნებისას თბილისის საოლქო საარჩევნო კომისიის ფუნქციებს ასრულებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც თბილისის საკრებულოში ადგენს არჩევნების საბოლოო შედეგებს.

მუხლი 19. ამომრჩეველთა სია და ამომრჩევლის ბარათი

ამომრჩეველთა სიების შედგენის, სიაში მოქალაქეთა შეყვანის, მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობის, ამომრჩეველთა ბარათების დარიგების, ამომრჩეველთა სიებში უზუსტობის გასაჩივრების წესი განისაზღვრება „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ:

მუხლი 32. ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი

1. ამომრჩეველთა სია დგება ორ ცალად თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის შედგენისათვის საარჩევნო კომისიას შეუძლია მიიწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

2. სახელმწიფო ხელისუფლების, თვითმმართველობისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

3. სიაში შეაქვთ ამომრჩევლის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი.

4. ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში, ადგენენ აღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და გემების კაპიტანების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე.

მუხლი 33. ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა შეყვანის წესი

1. ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება და რომელიც სიის შედგენის მომენტისათვის მუდმივად ცხოვრობს მოცემული საარჩევნო უბნის გერიგორიამე.

2. ამომრჩეველი შეგანილ უნდა იქნეს ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში.

მუხლი 34. მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა, ამომრჩევლის ბარათების დარიგება და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება

1. ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის საარჩევნო უბანში გამოიკვრება არჩევნებამდე 10 დღით ადრე, ხოლო იმ საარჩევნო უბნებში, რომლებზე შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, – არჩევნებამდე 3 დღით ადრე.

2. საუბნო საარჩევნო კომისიები ამომრჩეველებს ურიგებენ ამომრჩევლის ბარათს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩევლის სახელი და გვარი, ამომრჩევე სიაში რიგითი ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი.

3. ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უმუსკობანი. სიაში უმუსკობის დაშვების შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს – დაყოფნებლივ, განიხილოს განცხადება, შეიგანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომელიც მოვალეა სამი დღის ვადაში განიხილოს საჩივარი. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების არჩევნების შესახებ:

მუხლი 39. ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენის, რეგისტრაციისა და სიების შედგენის წესი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველ არჩევნებში

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველ არჩევნებში ამ კანონისთ განსაზღვრული ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენის, რეგისტრაციისა და სიების შედგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არა უგვიანეს სამი თვისა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება № 25 (170) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების-საკრებულოების 1998 წლის 15 ნოემბრის არჩევნებში ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენის, რეგისტრაციისა და სიების შედგენის წესის დადგენის შესახებ.

საქართველოს კანონის „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ“ 39-ე მუხლის თანახმად

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

1. ამომრჩეველთა სიაში შეიგანება საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისთვის შეუსრულდა 18 წელი და რეგისტრირებულია შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე.
2. რეგისტრირებულად ჩაითვლება ამომრჩეველი, რომელსაც:
 - ა) აქვს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (რეგისტრაციის მოწმობა);
 - ბ) აქვს ყოფილი სსრკ-ის პასპორტი შესაბამისი ჩაწერის აღნიშვნით;
 - გ) მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღეს უსრულდება 18 წელი ან არ გააჩნია ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი დოკუმენტები, უნდა მიმართოს მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებას მოქალაქის პირადობის მოწმობის მისაღებად არჩევნებამდე არა უგვიანეს 10 დღისა – 5 ნოემბერი.
3. ამომრჩეველი შეიგანება ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში. სიაში შეაქვთ ამომრჩეველის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი. 1980 წელს დაბადებულ პირებზე აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული დაბადების თვე და რიცხვი.
4. საქართველოს მოქალაქეობის მქონე ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობენ მათი სამხედრო ნაწილის მუდმივი დისლოკაციის ადგილის მიხედვით მხოლოდ რაიონის, ქალაქების: თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისის და ცხინვალის საკრებულოების არჩევნებში.
5. საუნბო საარჩევნო კომისიებმა, რომლებიც რაიონის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მდებარეობენ, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები უნდა შეიგანონ მხოლოდ რაიონის საკრებულოს არჩევნების სიაში. ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები არ შეიგანებიან სოფლის, თემის ან დაბის საკრებულოების საარჩევნო სიაში.
6. ამომრჩეველთა სიაში არ შეიგანება ის მოქალაქე, რომლის მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება.
7. ამომრჩეველთა სიაში გარდა აღნიშნულისა არ შეიგანება:
 - ა) მოქალაქე, რომელიც სასამართლომ ქმედუწაროდ ცნო;
 - ბ) მოქალაქე, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელთა აღსრულების დაწესებულებაში;
 - გ) მოქალაქე, რომელიც არჩევნების დღისათვის სამღვარდართ მუდმივად ან ღროებით მცხოვრებია;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებული – დევნილი ამომრჩევლები.

8. ამომრჩეველთა რაოდენობა ღვინდება საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიების მიხედვით.
9. წინასწარი მონაცემების შესაბამისად საკრებულოების არჩევნების მაკორიგარული თუ პროპორციული სისტემის განსაზღვრის შემთხვევაში ამომრჩეველთა სიის ამ წესის შესაბამისად დადგენის შემდეგ საკრებულოს არჩევნების განსაზღვრული სისტემა და მანდატების რაოდენობა არ შეიცვლება.

კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე 14 აგვისტო, 1998 წელი

მუხლი 20. პარტიული სიების წარდგენა

1. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიული სიების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს არჩევნებადღე არა უგვიანეს 40 დღისა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საკრებულოების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგინოს თითო პარტიული სია. პარტიულ სიებში კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს ამ კანონით დადგენილი წესით გათვალისწინებული მანდატების შესაბამის რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ოლქში ასარჩევ საკრებულოს წევრთა ორმაგ ოდენობას.

7. საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიამ, საარჩევნო ბლოკმა პარტიული სიები უნდა წარდგინონ არსებული მრავალმანდატიანი პროპორციული საარჩევნო ოლქების საერთო რაოდენობის ნახევარში მაინც.

მუხლი 21. კანდიდატთა წარდგენა

1. მაკორიგარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოების არჩევნებში მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის უფლება განცხადების წარდგენის მეშვეობით აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს და ამომრჩეველთა არანაკლებ ხუთკაციან საინიციატივო ჯგუფს.

2. პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ რაიონის საკრებულოს არჩევნებში წარდგენილ სიაში შეყვანილი კანდიდატი იმავდროულად შეიძლება შეყვანილი იქნეს ამ რაიონში შემავალი სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს პროპორციულ არჩევნებში წარდგენილ სიაში (თუ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება), ან წარდგენილ იქნეს კანდიდატად ამ რაიონში შემავალი სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოს არჩევნებში მაკორიგარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე (თუ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება).

3. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს მაკორიგარულ საარჩევნო ოლქში წარადგინოს საარჩევნო უფლების მქონე პირი, თუ მას მხარს უჭერს შესაბამისად სოფელში, დაბაში, თემში მცხოვრები არანაკლებ 10 ამომრჩეველი. ხოლო ქალაქში – არანაკლებ 100 ამომრჩეველი.

მუხლი 23. პარტიული სიებისა და საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატთა რეგისტრირება

1. პარტიულ სიას რეგისტრაციაში აგარებს შესაბამისი საარჩევნო კომისია მისთვის პარტიული სიის წარდგენიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

2. საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატებს რეგისტრაციაში აგარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია: დამოუკიდებელ კანდიდატებს – მათი წარდგენიდან არა უადრეს მე-3 და არა უგვიანეს მე-8 დღისა, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ დასახელებულ კანდიდატებს – მათი წარმოდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა. კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

მუხლი 36. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველი არჩევნების ჩატარება და მასში მონაწილეობა

1. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველი არჩევნები არ ტარდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იმ ტერიტორიებზე, რომლებზედაც არ ვრცელდება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა იურისდიქცია.

2. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პირველ არჩევნებში არ მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებული – დევნილი ამომრჩეველები.